

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

აკაკი სადუნიშვილი

ანტი-მიგრანტული განწყობა და მისი გავლენა ქვეყნის მიგრაციულ
პოლიტიკაზე

(საქართველოს მაგალითი 2012-2019 წლებში)

პოლიტიკის მეცნიერების სამაგისტრო პროგრამა

ნაშრომი შესრულებულია პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი:

გიორგი მელიქიძე, პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი

თბილისი

2019

ანოტაცია

ბოლო პერიოდში, მსოფლიოს მასშტაბით, საგრძნობლად გაიზარდა მიგრაციის დონე. გლობალიზაციამ და კულტურათაშორის კავშირმა, ქვეყნებს შორის საზღვრები უხილავი გახადა, რაც მიგრაციის ხელშემწყობი ფაქტორი აღმოჩნდა. ისტორიული პროცესების გათვალისწინებით მიგრაცია არაა ახალი მოვლენა. ტრანსპორტისა და ტექნოლოგიების ცვლილებამ ადამიანებს უბიძგა გადაადგილებისაკენ, რისი მთავარი მოტივიც უსაფრთხო გარემო და უკეთესი ცხოვრების სურვილი გახდა.

ბოლო დროს საქართველოშიც გამოიკვეთა მსგავსი პოლიტიკური დისკურსი, რაც უკავშირდება იმიგრანტების რაოდენობის ზრდას, რომელსაც ქვეყნის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი საფრთხეთ განიხილავს და იმიგრანტებს ქვეყნის ნაციონალური იდენტობისთვის შეუსაბამოდ მიიჩნევს. კვლევის ჰიპოთეზის თანახმად, საზოგადოებაში არსებული ანტი-მიგრანტული განწყობა განსაზღვრავს სახელმწიფოს საიმიგრაციო პოლიტიკას, რომელიც მით უფრო მკაცრდება, რაც უფრო ინტენსიური ხდება საზოგადოებაში არსებული ანტი-მიგრანტული განწყობა. კვლევის პროცესში გამოვიყენე თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგია: კონტენტ-ანალიზი, რომლის გამოყენებითაც შევისწავლე საზოგადოებაში არსებული ანტი-მიგრანტული განწყობა, კვლევის პროცესში ასევე გამოყენებულია სახელმწიფო დოკუმენტების ანალიზი, მათზე დაყრდნობით, შევისწავლე სახელმწიფოს საიმიგრაციო პოლიტიკა და მისი ცვლილება 2005-2019 წლებში. ამ ცვლილების გამომწვევი მიზეზების შესწავლის მიზნით, ჩავატარე ექსპერტული ინტერვიუები, რომელთა დახმარებითაც მივიღე ობიექტური შედეგები.

კვლევის პროცესში გამოიკვეთა ძირითადი დასკვნები, რომელიც მიუთითებდა, რომ სახელმწიფოს საიმიგრაციო პოლიტიკას ნაწილობრივ განაპირობებს საზოგადოებაში არსებული განწყობა და მასთან ერთად პოლიტიკური დღის წესრიგის ცვლილებას საიმიგრაციო კუთხით, სხვა რიგი ფაქტორებიც იწვევს.

Abstract

Nowadays, migration levels have significantly increased in the world. Globalisation and interdisciplinary relations made borders between countries unseen, which was a contributing factor of migration. Migration is not a new phenomenon due to historical processes. The change in transport and technology has led people to move around, which is the main motive for a safe environment and a desire to live a better life.

There is also a similar political discourse in Georgia that has been linked to the increase of the number of immigrants that are considered to be a threat to the country's population and consider immigrants to be incompatible with the country's national identity. According to the research hypothesis, the anti-migrant sentiment in the society determines the state's immigration policy, which makes it even more intense, making the anti-migrant sentiment in the community more intensive. During the research I used the qualitative research methodology: Content Analysis, which I used to study the anti-migrant sentiments in society, also used the analysis of state documents, based on the study of the immigration policy of the State and its change in 2005-2019. In order to study the causes of this change, I conducted expert interviews with the help of which I received objective results.

The main findings of the research showed that the migration policy of the country is partially influenced by the attitude of the society but there are many other factors that change the immigration policy.

სარჩევი

შესავალი.....	5
თავი I: ანტი-მიგრანტული განწყობა საქართველოში.....	19
1.1 საქართველოში მოქმედი ანტი-მიგრანტული ჯგუფები	20
1.2 ანტი-მიგრანტული განწყობების მქონე პოლიტიკური პარტიები საქართველოში. 26	
1.3 ანტი-მიგრანტული განწყობა ასაქართველოში მოქმედ მედია საშუალებებში	33
თავი II: საემიგრაციო პოლიტიკა (საქართველოს მაგალითი).....	40
2.1 საქართველოს საემიგრაციო პოლიტიკა 2005-2013 წლებში	40
2.2 საქართველოს საემიგრაციო პოლიტიკა და პოლიტიკური დისკურსი 2014- 2017 წლებში	46
2.3 საქართველოს საემიგრაციო პოლიტიკა და პოლიტიკური დისკურსი 2019 წელი 51	
2.4 საემიგრაციო კანონის ინპლემენტაცია და სახელმწიფო პოლიტიკა უცხოელების მიმართ	56
დასკვნა	Error! Bookmark not defined.
გამოყენებული ლიტერატურა	64

შესავალი

კვლევის მიზანია ანტი-მიგრანტული განწყობასა (რიტორიკის) და ქვეყნის მიგრაციულ პოლიტიკას შორის ურთიერთმიმართების დადგენა. კვლევა აქტუალურია იმდენად, რამდენადაც ბოლო დროს პოლიტიკური დისკურსის საგანი გახდა მიგრანტების გაზრდილი რიცხვი, ადგილობრივებსა და მიგრანტების ურთიერთობისას წამოჭრილი პრობლემები და კონკრეტული ჯგუფების მიერ მიგრანტების საფრთხედ აღქმა ნაციონალური იდენტობისთვის.

ევროპაში ანტი-მიგრანტული ჯგუფების მომძლავრებასთან ერთად, საქართველოშიც გააქტიურდნენ მსგავსი პოლიტიკური ძალები, მიუხედავად იმისა რომ საქართველოში ეს ჯგუფები მთელი მოსახლეობის მცირე ნაწილს წარმოადგენს მათი გავლენა იზრდება, რაც შესაძლებელია საფრთხის მომტანი იყოს ქვეყნის ევროკავშირსა და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების გზაზე. ანტი-მიგრანტული ჯგუფები ქსენოფობიური, რასისტული და ნაციონალისტური რიტორიკით ცდილობენ მხარდაჭერების მობილიზებას და მიგრანტებს ქართული იდენტობისთვის შეუსაბამოდ წარმოადგენენ, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს იმ ღირებულებებზე უარის თქმა, რომელიც ეფუძნება ლიბერალურ დემოკრატიას, ეს მაშინ როდესაც საქართველო ცდილობს შეინარჩუნოს და განავითაროს დემოკრატიული ფასეულობები და ინსტიტუტები, რომელიც თავის თავში გულისხმობს მრალფეროვნებასა და პლურალიზმს. აქედან გამომდინარე შევისწავლით ანტი-მიგრანტულ განწყობას საქართველოში.

ანტი-მიგრანტულ რიტორიკაში მოვიაზრებთ, იმ ოფიციალურ განცხადებებს რომელიც გაჟღერებული იყო კონკრეტული ჯგუფების მიერ. ბეჭდურ, სატელევიზიო და ინტერნეტ მედია საშუალებებით გავრცელებულ ინფორმაციას, რომელიც აქცენტს აკეთებს მიგრანტების რაოდენობის ზრდაზე და საფრთხეებზე. ასევე პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც მსგავს საკითხებს იყენებენ საარჩევნო პროგრამაში და მიგრანტების რაოდენობას საფრთხის შემცველად აღიქვამენ.

დღეს ტერმინ უსაფრთხოებაში მოიაზრება რიგი სამოქალაქო პრობლემატიკა, რომელსაც სახელმწიფო დონეზე ლობირებას უწევს სხვადასხვა ინეტერსთა ჯგუფი. აქედან გამომდინარე ბოლო დროს რიგ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში გაჩნდა ახალი „საფრთხეები“, რომლებმაც ქვეყნის საზოგადოება ორ ურთიერთსაპირისპირო მხარედ დაჰყო. ერთის მხრივ ასეთი საფრთხეები უკავშირდება ქვეყანაში არსებულ ნაციონალისტურ ძალებს, რომლებიც საფრთხის შემცველად აღიქვამენ მიგრანტებს, რაც იწვევს დაპირისპირებასა და ჩნდება ერთგვარი სამოქალაქო დამაბულობა. ასეთ დროს კი ჩნდება კითხვა რა უნდა მოიმოქმედოს სახელმწიფო ინსტიტუტებმა? რა პოლიტიკა უნდა გატაროს მან? სად გადის ზღვარი გამოხატვის თავისუფლებასა და იდენტობის უსაფრთხოებას შორის? აქვს თუ არა მსგავს ჯგუფებს ძალა და უნარი შეაფერხონ საქართველოს პრო-ევროპული და ლიბერალური პოლიტიკური დღის წესრიგი?

ამ კითხვებზე პასუხის საპოვნელად მნიშვნელოვანია გავეცნოთ ანტი-მიგრანტული ჯგუფების მიერ გაჟღერებულ რიტორიკას და პოლიტიკის დღის წესრიგის ურთიერთმიმართებას, რომელშიც ვგულისხმობთ ქვეყნის მიგრაციულ პოლიტიკას, თუ როგორ რეაგირებს ქვეყნის მმართველი ხელისუფლება, პოლიტიკოსები და სხვა სახელმწიფო აქტორები, რომლებსაც შეუძლიათ საქართველოში პოლიტიკურ გადაწყვეტილებაზე გავლენის მოხდენა საზოგადოებრივ განწყობაზე. აქედან გამომდინარე ჩვენი კვლევა ამ საკითხს დაეთმობა და განიხილავს მათ შორის კორელაციას.

საკვლევი კითხვა: როგორ აისახება საზოგადოებაში არსებული ანტი-მიგრანტული განწყობა (რიტორიკა) ქვეყნის მიგრაციულ პოლიტიკაზე?

კვლევის ჰიპოთეზა: რაც უფრო ინტენსიურია საზოგადოებაში არსებული ანტი-მიგრანტული განწყობა (რიტორიკა), მით უფრო მკაცრდება ქვეყნის მიგრაციული პოლიტიკა.

დამოუკიდებელი ცვლადი: საზოგადოებაში არსებული ანტი-მიგრანტული განწყობა (რიტორიკა)

დამოკიდებული ცვლადი: ქვეყნის მიგრაციული პოლიტიკა

ანალიზის ერთეული: ჩემი კვლევის ანალიზის ერთეულია ანტი-მიგრანტული განწყობა (რიტორიკა), რომელიც მოიცავს კონკრეტული ჯგუფებს და მათ ოფიციალურ განცხადებებს. ბეჰდურ, ინტერნეტ და სატელევიზო მედიაში გაშუქებულ ინფორმაციას. პოლიტიკურ პარტიებს, რომელთა საარჩევნო კამპანია მოიცავდა ნაციონალისტურ იდეებსა და ანტი-მიგრანტულ განწყობებს. უნდა აღვნიშნოთ, რომ ანალიზის ერთეული წარმოადგენს უშუალოდ შესასწავლ საკითხს, რომელიც ამ შემთხვევაში არის ანტი-მიგრანტული რიტორიკა, რომელიც სხვა ფაქტორებთან ერთად მოქმედებს, ქვეყნის მიგრაციულ პოლიტიკაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით მნიშვნელოვანია შევისწავლოთ ფაქტორები, რომელიც იწვევს მსგავსი განწყობის ჩამოყალიბებას, რაც შეეხება უშუალოდ მის მიმართებას სახელმწიფო პოლიტიკასთან, კვლევაში განხილული იქნება საკანონმდლო ცვლილებები, რომელიც შეეხება საქართველოში არსებულ მიგრაციას, ასევე მმართველი ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებებს, ინიციატივებს, პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს და მის ინპლემენტაციას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ლიტერატურის მიმოხილვა: საკვლევი საკითხის გააზრებისთვის მნიშვნელოვანია გავეცნოთ მიგრაციასთან დაკავშირებულ ნაშრომებს, რომელიც შესაძლებლობას იძლევა ავხსნათ ანტი-მიგრანტული რიტორიკის გამომწვევი მიზეზები და მისი არტიკულაცია სამთავრობო დონეზე. თანამედროვე მიგრაციის პრობლემებსა და გამოწვევებს ქვეყნები გვერდს ვერ უვლიან, გლობალიზაციამ უფრო მეტად აქტუალური გახადა ეს საკითხი. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ კონფლიქტებმა მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში მნიშვნელოვნად გაზარდა მიგრაციის მაჩვენებელი და ამ მაჩვენებლის მიხედვით დღეს ყოველი ოცდათხუთმეტი ადამიანიდან ერთი საერთაშორისო მიგრანტია. (Guchteneire, Pécoud, & Cholewinski, 2009, p. 35). ლიტერატურის მიმოხილვის დროს დავეყრდნობით რამოდენიმე სამეცნიერო ნაშრომს, რომელიც ეხმიანება საკვლევ საკითხს.

რიტა ფურესტეს ნაშრომი „უსაფრთხოების საშუალებით შექმნილი საიმიგრაციო კონტროლი“ საშუალებას გვაძლევს განვიხილოთ ის ნიუანსები, რომელსაც წარმოქმნის მიგრაციის პრობლემები. ავტორს თავისი ნაშრომი განხილული აქვს ევროკავშირის მაგალითზე და ეყრდნობა ისეთ ავტორებს, რომელიც მნიშვნელოვანია აღნიშნული

საკითხის შესასწავლად. ფურესტე ეყრდნობა და იზიარებს თეორიას, რომლის მიხედვითაც მიგრაცია წარმოადგენს უსაფრთხოების პრობლემას და ის მოიზრება უსაფრთხოების კონცეფციის ერთ-ერთ ნაწილად. აღნიშნული ნაშრომი ჩვენს ნაშრომს უკავშირდება იმდენად, რამდენადაც მასში განხილულია თანამედროვე მიგრაციის პრობლემები, რომელიც უკავშირდება მიგრაციის გაზრდილ მაჩვენებელს, რაც იწვევს დაძაბულობას ჯგუფებს შორის, რომელიც ვლინდება ანტი-მიგრანტულ რიტორიკაში. ნაშრომის ძლიერ მხარედ უნდა მივიჩნიოთ ის, რომ ავტორს მოყვანილი ჰყავს ევროკავშირის სტატისტიკური მონაცემები და მას განიხილავს ანტი-მიგრანტული ჯგუფების გამოსვლებთან მიმართებით. ავტორი ეყრდნობა იმ თეორიტიკოსებს, რომელმაც მოახდინეს ტერმინ „უსაფრთხოების“ გადააზრება და მასში დაინახეს არა მხოლოდ მილიტარისტული და სამხედრო სფერო, არამედ რიგი სამოქალაქო საკითხები, რომელიც მოიცავს მიგრაციის პრობლემებს. აქედან გამომდინარე ჩვენ შეგვიძლია მიგრაციისადმი უარყოფითი დამოკიდებულება და ამ დამოკიდებულების გამოხატულება ანტი-მიგრანტული რიტორიკით დავუკავშიროთ ერთის მხრივ კულტურულ, რელიგიურ და სხვა სახის განსხვავებებს და მეორეს მხრივ შიშს, რაც მოიცავს სხვა საკითხებსაც.

ავტორი აგრძელებს სხვა თეორიტიკოსების აზრს და მიგრაციის ასეთ მაღალ მაჩვენებელს მიგრანტთა მიმღებ ქვეყნებში უკავშირებს შიშს, რაც ემყარება: ეკონომიკურ, სოციალურ, ეროვნულ და პოლიტიკურ პრობლემებს, რომელიც შემდგომში აისახება ადგილობრივი მოსახლების პროტესტში და იქმნება ანტი-მიგრანტული განწყობები. აღსანიშნავია, ისიც რომ ანტი-მიგრანტული რიტორიკა გამოიხატება აღქმებით, თუ როგორ ხდება მიგრანტების აღქმა და მისი კაშირი იმ პრობლემებთან, რომელსაც მიგრანტთა მიმღები ქვეყნები განიცდიან. ამ მოსაზრების სისწორეში დასწარწმუნებლად მიმართავენ ონტოლოგიურ და ეპისტემოლოგიურ ახსნას. საკითხის უსაფრთხოების ასპექტში განხილვა წარმოადგენს ობიექტურ რეალობას, რომელიც არა მხოლოდ ობიექტური რეალობაა, არამედ სოციალურიც. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ შეიძლება ვერ მივახწიოთ ობიექტურ ცოდნას, რადგან ჩვენ ყოველთვის სუბიექტურად აღვიქვამთ მოვლენებს. სუბიექტი ხდება მეტაფორების, ალეგორიებისა და საზოგადოებრივი აზრის „მსხვერპლი“, რაც შემდეგში აყალიბებს ჩვენს აზრებსა და

მოქმედებას. (Jørgensen, Winther, & Phillips, 1999, p. 21). გამომდინარე აქედან იქმნება პოზიცია, რომელიც სუბიექტურად უყურებს საკითხს და ახდენს მის გავრცელებას სოციალურ დონეზე. ასეთი საკითხი ხდება მიგრაცია და მიგრანტებთან დამოკიდებულება. ეს კი გვადლევს საშუალებას გამოვიტანოთ დასკვნა, რომ მიგრაციის პოლიტიზირებას იწვევს დაინტერესებული ჯგუფების აღქმა, რომლებიც უკავშირდება უსაფრთხოებას, სოციალური და ეკონომიკური კუთხით. ჩვენ ვხედავთ, რომ ხდება ტერმინ უსაფრთხოების სექტორიზაცია, მთავარი აქტორები ხდებიან ჯგუფები, რომლებიც საკუთარ პოზიციას გამოხატავენ. ისინი აპელირებენ პრობლემებზე, და მათი აქტიობა მიმართულია საზოგადოების მხარდაჭერის მოპოვებისთვის. (Buzan, Waever, & Wilde, 1998, p.25).

უსაფრთხოების ამგვარი გააზრება მომდინარეობს ეგრეთწოდებული „სიტყვის აქტიდან“, რაც გულისხმობს, რომ უსაფრთხოების პრობლემა თავისთავად არ არსებობს და ის პრობლემად არ გარდაიქმნება, მანამ სანამ არ მოხდება, ან ვინმე არ მოახდენს მისი, როგორც უსაფრთხოების პრობლემის პროვოცირებას“ თუ ამ აზრს გავყვებით, რომელიც „უსაფრთხოების“ თეორიტიკოსებს ეკუთვნით დავინახავთ, რომ ნებისმიერი მსგავსი მცდელობა გაგებული იქნას, საკითხი საფრთხის შემცველად იწვევს, საზოგადოების მობილიზებას, რომელიც ახდენს ამ საკითხის პოპულარიზაციას და ხდება მისით მანიპულირება. ბუზანი თვლიდა, რომ უსაფრთხოება მოიცავს ხუთ სექტორს: სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითს, თითოეულს თავისი სპეციფიკური განსაზღვრება გააჩნია, მაგრამ აქედან მიგრანციასთან მიმართებით შეგვიძლია განვიხილოთ ეკონომიკური და სოციალური უსაფრთხოება. სოციალურ უსაფრთხოებაში ავტორები მოიზრებენ ტრადიციული ეროვნულ იდენტობას, კულტურას, ენას და რელიგიას. მიგრაციის პირობებში წარმოიქმნება სოციალური ჯგუფებისთვის საფრთხე, რომელიც უშუალოდ მათ „ემუქრება“, რაც შემდეგში იწვევს მათ ქმედებას, როგორც თავის გადარჩენის აქტს. ყველაზე, ზოგადი გაგებით უსაფრთხოება, არის შიში ყოველგვარი ეგზისტენციალური საფრთხის მიმართ, რაც იწვევს უკუქმედებასა და საფრთხისგან თავის არიდებას. მიგრაციული პრობლემის გათვალისწინებით, ამგვარი ქმედება გამოხატულია ანტიმიგრანტული რიტორიკის არსებობაში, რომელიც სახელმწიფოს უბიძგებს მიიღოს ზომები და შეაჩეროს საფრთხე.

უსაფრთხოების ამგვარი გააზრებას ვხვდებით ბარი ბუზანის ნაშრომში. რომელსაც ფართო გამოყენება აქვს სხვადასხვა მიმართულებით მათ შორის ეს კონცეფცია შეგვიძლია გამოვიყენოთ აღნიშნული საკითხის შესასწავლად.

რიტა ფურესტეს ნაშრომში ასევე მნიშვნელოვანია ახსნა თუ როგორ ყალიბდება ერთიანი პოზიცია, რომელიც შემდგომში ფორმირდება მიგრაციის გარშემო. უნდა ითქვას, რომ ავტორი ძირითად შემთხვევაში საკუთარ პოზიციას უკავშირებს უკვე არსებულ გამოცდილებას და არ ცდილობს ალტერნატიულად ახსნას კავშირი ანტი-მიგრანტულ რიტორიკასა და ქვეყნის მიგრაციულ პოლიტიკაზე, თუმცა ეს მაინც არ შეგვიძლია ნაშრომის სისტუტედ მივიჩნიოთ. სანამ მიგრაციისადმი განწყობა და აღქმა გადავიდოდეს უსაფრთხოების სფეროში, მან ჯერ უნდა გაიაროს რამოდენიმე ფაზა. პირველ ფაზაზე ხდება საფრთხის აღქმა და მისი საზოგადოებისთვის გაცნობა, ამ ფაზას შეგვიძლია ვუწოდოთ “რიტორიკული ფაზა“ ამ ეტაპზე უსაფრთხოების დამცველი ცდილობს პრობლემის გადაჭრის ზომების მიღებას. როდესაც პირველი ფაზა წარმატებულია და საზოგადოებას გაცნობიერებული აქვს საფრთხე, რომელიც მაგალითად მომდინარეობს მიგრანტებისგან, იწყება მეორე ფაზა, რაც გულისხმობს მოთხოვნას გაზიარებული იყოს საზოგადოებრივი აზრი და ასუხული იქნას პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში. (Rieker, 2001, p. 3).

ის ავტორები, რომელიც ითვლებიან უსაფრთხოების კონცეფციის თეორიტიკოსებად მიიჩნევენ, რომ საკმაოდ მყარია კორელაცია საფრთხის აღქმასა და ანტიმიგრანტულ განწყობას შორის. მაგალითისათვის „ფინელები შემფოთებულები არაინ 0,3% უცხოელის ემიგრანტების შემოდინებით, მაშინ როცა შვეიცარია ემიგრანტთა 14,7 %-ს ართმევს თავს“ (Buzan, Waever, & Wilde, 1998, p. 30). უსაფრთხოების კონცეფციის საშუალებით ჩვენ შეგვიძლია ავხსნათ დამოკიდებულების ცვლილება მიგრანტებთან მიმართებით, რომელიც იცვლება პერიოდულად, და ეს ცვლილები გადადის მოთხოვნებში, რომელიც გამოხატულია ანტი-მიგრანტულ განწყობებში. ანტი-მიგრანტულ გამწყობებში ნაგულისხმევია მასმედიის საშუალებით გაჟღერებული ინფორმაცია, ანტი-მიგრანტული მანიფესტაციები, პრესაში გაჟღერებული ინფორმაცია. თავდაპირველად ხდება დაინტერესებული ჯგუფების მიერ რაიმე მოვლენის საფრთხეთ აღქმა და შემდეგ მისით მანიპულირება, რაც იწვევს

საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას აღნიშნულ საფრთხის შემცველი მოვლენის მიმართ. უსაფრთხოების კონცეფცია სექურიტიზაცია „securitization“ გულისხმობს, რომ უკვე არსებული შემთხვევა ან ამ შემთხვევის გამომწვევი მიზეზები წარმოადგენს არსებით საფრთხეს და საჭიროებს “გადაწყვეტილების მიღებას, ექსტრაორდინალურ ზომებს, სადაც უკვე არსებული ნორმატიული პოლიტიკური პროცედურების ჩარჩოების დარღვევა გამართლებულია“ (Buzan, Waever, & Wilde, 1998, p. 37). უსაფრთხოების თეორიტიკოსები განიხილავენ საფრთხეს, როგორც ობიექტურ რეალობას, მაგრამ საინტერესოა ისიც, რომ თუ ობიექტური რეალობა გათავისებული და გაზიარებული იქნება ის სუბიექტურ რეალობა ხდება. აქედან გამომდინარე ბუზანის აზრი კრიტიკის საგნად იქცევა, რადგან ის საფრთხეს განიხილავს, როგორც მხოლოდ დაინტერესებულ ჯგუფის მიერ მანიპულაციის შედეგს და არა საკუთრივ პირდაპირ საფრთხეს, რომელსაც თითოეული პიროვნებას ემუქრება.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ უსაფრთხოების კოფენჰაგენის სკოლა საუბრობს, აზრებისა და შეხედულებების გავრცელებაზე ჯგუფების მიერ სხვა ინდივიდებზე, აქ კი ჩნდება ხარვეზი, რადგან შესაძლებელია ცალკეული პიროვნება თავისი აღქმებიდან გამომდინარე ახდენდეს საფრთხის შეფასებას და შედეგ ხდებოდეს მის მიერ საკუთარი თავის ასოცირება სხვა ინდივიდებთან, რომელიც საბოლოო ჯამში ერთი საკითხის გარშემო კონსოლიდირდება. ეს კი უკვე ქმინის მოთხოვნილებას ჯგუფის შეხედულებები გამოიხატოს სახელმწიფო პოლიტიკაში. უნდა ითქვას ისიც, რომ უკვე ჩამოყალიბებული აზრის გამოხატვისთვის საჭიროა პოლიტიკური ელფერის მიცემა, რასაც ახერხებს მემარჯვენე პოლიტიკური ფრთა, რომელსაც სხვადასხვა პარტიები ან გააერთიანებები წარმოადგენენ. სწორედ აქ ხდება მანიპულირება საზოგადოებრივ აზრზე და საკითხის ისე წარმოჩენა, რომ საფრთხე ნამდვილად რეალურია და ამის მოუგვარებლობა დაუცველობის ტოლფასია. თუ ამას განვიხილავთ მიგრანტებთან მიმართებით მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადგილობრივი მოსახლეობა თავს დაუცველად გრძნობს. „დაუცველობა ნიშნავს შიშს და შიში არის პოლიტიკური ქმედებისთვის ძლიერი ინსტრუმენტი. (Balzacq, 2011, p. 32). მსგავს არგუმენტაციას იყენებს ჯანლუკა პალბო თავის ნაშრომში „შოტლანდიაში ემიგრანტების უსაფრთხოება, დისკურსისა და პრაქტიკის ანალიზი“ ამ ნაშრომში,

როგორც რიტა ფურესტეს ნაშრომში ძირითადი აქცენტი კეთდება უსაფრთხოების საკითხებზე, რომელიც კავშირშია საფრთხის აღქმასთან. დაუცველობა, რომელსაც განიცდის ადგილობრივი მოსახლეობა უფრო მძაფრდება, მაშინ, როდესაც ხდება აპელირება რიგ საკითხებზე, რომელიც მოიცავს გაზრდილ კრიმინალას, სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებს, უმუშევრობის ზრდასა სხვა საკითხებს. გამომდინარე აქედან ჩნდება მოთხოვნილება გამოხატული იქნას საზოგადოების კონკრეტული ჯგუფის მისწრაფება დაიცვან თავი მოსალოდნელი საფრთხისგან.

აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ანტი-მიგრანტული განწყობის მთავარი მოტივია საფრთხე და ამ საფრთხისგანს თავის დაცვა. უსაფრთხოება, როგორც ზოგადი ტერმინი, გამორჩეულია და ნიშნავს გადარჩენას ექსისტენციური საფრთხეთა წინაშე. (დარჩიაშვილი, 2000). უსაფრთხოების ეს მნიშვნელობა პოლიტიკურ მეცნიერებაში გამოიყენება, როგორც ეროვნული უსაფრთხოების საზრისი, როგორც არნოლდ ვოლფრედი განმარტავს ეროვნული უსაფრთხოება, როგორც წესი აღქმულია სახელმწიფოსა და საზოგადოების სასიცოცხლო ინტერესთა გადარჩენის საშუალებად ან პირობად. უსაფრთხოებაში იგულისხმება „საშინაო, ეროვნულ საზოგადოებრივ ღირებულებათა დაცვა“. (დარჩიაშვილი, 2000). უნდა აღვნიშნოთ რომ, ეროვნული უსაფრთხოება წარმოადგენდა მხოლოდ მილიტარისტულ და სამხედრო დონეებსა და თავსდებოდა საერთაშორისო ურთიერთობების, რეალიზმის სკოლის პარადიგმაში. მისი ძირითადი პრინციპები კი ფორმულირებული იყო ოთხი ლათინური S-ის გარშემო: States – სახელმწიფოები, რომლებიც გვევლინებიან უსაფრთხოების მთავარ აქტორებად და რეფერენტებად, Strategy – სტრატეგია, რომელიც გულისხმობდა სამხედრო დაგეგმარებას, Science – მეცნიერება, და Status quo – უსაფრთხოება განიხილებოდა როგორც ომის შემდგომი მსოფლიო წესრიგის შენარჩუნების საშუალება. (Paul, 2008, as cited in Iurin, 2016). უსაფრთხოების მიმართ მსგავსი მიდგომა გადააზრებული იქნა და მან შეითავსა არა მხოლოდ მილატარისტული, არამედ რიგი სამოქალაქო საკითხებიც. „უსაფრთხოების კონცეფციის გაფართოებული აღქმის ერთ-ერთ მაგალითად, რომელიც არ შემოიფარგლება მხოლოდ სამხედრო სტრატეგიით, წარმოადგენს მიშელ ფუკოს ლექციების კურსი სახელწოდებით „უსაფრთხოება, ტერიტორია, მოსახლეობა“. ფუკოსთან უსაფრთხოების ცნებაში მოიაზრება ისეთი საკითხები როგორცაა ქალაქ

დაგეგმარება, საფორტიფიკაციო მშენებლობები, მარცვლეულის ბრუნვის კონტროლი, სანიტარული კონტროლი, დისციპლინარული პრაქტიკები და სხვა“. (იურიანი, 2016). როგორც ვხედავთ, მოხდა ტერმინ უსაფრთხოების გაფართოება, რომელშიც თავისუფლად შეგვიძლია მოვიაზროთ მიგრაცია და მიგრაციის შედეგად გამოწვეული საფრთხეები, რომლებიც ხდება მოტივატორი რიგი სამოქალაქო ჯგუფებისა, ეს ჯგუფები ცდილობენ საკუთარი შეხედულებების არტიკულაციას სამთავრობო დონეზე, ამისთვის მათ უსაფრთხოების არგუმენტი მოჰყავთ.

აღნიშნულიდან გამომდინარე დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ უსაფრთხოების კონცეფცია სექტორიზებულია, აქედან გამომდინარე მიგრაცია არის საკითხი, რომელიც მიეკუთვნება საზოგადოებრივ სექტორს და ხდება დიფერენცირება „ჩვენსა და მათ შორის“, თუ რა საფრთხეს უქმნის მიგრანტები ადგილობრივ მოსახლეობას. საკითხის ამგვარი გააზრებას მივყავართ ანტი-მიგრანტულ დისკურსთან. იქმნება კონტექსტი, რომელიც მიუთითებს პრობლემაზე და ამ პრობლემის გადაჭრის გზაზე. საზოგადოებრივი აზრი ცენტრალურ როლს ასრულებს საკითხის გააზრებაში, რაც ქმნის მიგრანტების მიმართ დამოკიდებულებას და ეს დამოკიდებულება გამოიხატება ანტი-მიგრანტულ რიტორიკით, რომელიც შემდგომში გარდაიქმნება პოლიტიკური მოთხოვნად და საჭიროებს ამ მოთხოვნებზე ადეკვატურ რეაქციას, რომელიც შესაძლებელია აისახოს პოლიტიკურ დღის წესრიგში.

თეორიული ჩარჩო: აღნიშნული საკითხის უკეთ გააზრებისთვის მნიშვნელოვანია თეორიული ჩარჩო, რომელიც მოგვცემს საშუალებას გავაანალიზოთ თუ როგორ ხდება ანტი-მიგრანტული რიტორიკისა და განწყობების არტიკულაცია სამთავრობო დონეზე და როგორ აისახება ის ქვეყნის მიგრაციულ პოლიტიკაზე. ასეთ ამხსნელობით თეორიად შეგვიძლია გამოვიყენოთ სისტემური თეორია.

სისტემური თეორია იგივეა, რაც სისტემური მიდგომა, რომელიც გამოიყენება პოლიტიკის მეცნიერებაში. ეს თეორია მოვლენებს განიხილავს ერთიან სივრცეში, სისტემაში. სისტემაში შემავალი ყოველი ნაწილი ურთიერთქმედებაშია ერთმანეთთან. თეორია განიხილავს სისტემის სტრუქტურას, მისი ელემენტების ურთიერთკავშირსა და

ურთიერთზეგავლენას (ცინცაძე, 1998, გვ. 58-68). თეორია მნიშვნელოვნად ამარტივებს საკვლევო საკითხის გააზრებას.

სისტემური მიდგომა სახელმწიფოს წარმოადგენს, როგორც „სარგებლისა და ზარალის გამნაწილებელ“ რთულ სისტემად, რომელშიც წარმოდგენილია სხვადასხვა გადაწყვეტილების მიმღები აქტორები სხვადასხვა ფუნქციებით, ეს კი ქმნის სისტემაში შემავალი გადაწყვეტილების მიმღები აქტორების იერარქიას სადაც თითოეულ აქტორს აქვს თავისი როლი. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ძირითად შემთხვევაში პოლიტიკური სისტემის ქვესისტემებად ხელისუფლების ინსტიტუტები წარმოგვიდგება, რომელზეც პასუხმგებლობა და მისი მოქმედებაში მოყვანა პოლიტიკურ ფიგურებს ეკისრებათ. (Monsma, 1973 as cited in Darchiashvili, 2000).

თუ სახელმწიფოს წარმოვიდგენთ, როგორც ერთობლივ სისტემას და მასში შემავალი ელემენტების მთლიანობას, მაშინ შეგვიძლია ვისაუბროთ იმაზეც, თუ როგორ გარდაიქმნება სისტემა ელემენტების ურთიერთქმედებით. ამგვარი პროცესის გააზრება დაგვეხმარება, გავიგოთ, როგორ იცვლება სისტემა, ელემენტების მოთხოვნების შემდეგ.

პოლიტიკური სისტემის გასარკვევად აუცილებელია მასში, შემავალი პროცესების ახსნა. ასეთი ახსნა გამოიხატება ტექნიკური ტერმინების აღწერაში, როგორცაა „მიწოდება (input), „გამოშვება (output)“, „გარდაქმნა (conversion)“ და „უკუკავშირი (feedback)“. (Easton, 1951 as cited in Darchiasvili 2000).

მიწოდება „(input)“ სურვილები და წუხილები, რომელიც ხელისუფლების სხვადასხვა ეშელონებს მიეწოდება, „გამოშვება“ (output) კი მათზე რეაგირებაა, რაც „უკუკავშირად“ (feedback) უბრუნდება „მიმწოდებელს“. სტივენ მონსმას სიტყვებით, უშუალოდ პოლიტიკური სისტემის ძირითადი ფუნქცია input-ის output-ად „გარდაქმნაშია“ (conversion). (დარჩიაშვილი, 2000).

თუ ჩვენ ანტი-მიგრანტული ჯგუფებს განვიხილავთ „მიმწოდებლის“ როლში, ხოლო სახელმწიფოს როგორც „გამომშვებლის“ პოზიციას მივანიჭებთ, რადგან სახელმწიფო ესაა ლეგიტიმური ძალაუფლების მქონე სუბიექტი, რომელიც პასუხიმგებელია ამგვარ ქმედებაზე, მივიღებთ სისტემის პოლუსებს, სადაც შუამავალი

რგოლია „გარდაქმნა“, რაც გულისხმობს საზოგადოებრივი მოთხოვნილებების არტიკულაციას სამთავრობა დონეზე, რომელიც ვლინდება პროცესის ბოლო ეტაპზე, „უკუკავშირზე“ თუ როგორ მოხდა ამ ინტერესების გატარება პოლიტიკურ დღის წესრიგში.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით ჩვენ შეგვიძლია ამ თეორიაზე დაყრდნობით, შევისწავლოთ საკვლევი საკითხი. ახდენს თუ არა ანტიმიგრანტული ჯგუფები ქვეყნის მიგრაციულ პოლიტიკაზე გავლენას და როგორია კორელაცია გადაწყვეტილების მიღების დროს მიგრაციულ პოლიტიკასა და ანტი-მიგრანტულ რიტორიკას შორის, რომელიც გამოიხატება მიგრაციის მოწინააღმდეგე ჯგუფების მიერ. ჯგუფი საფრთხეთ აღიქვამს მიგრანტებს და სახელმიწვოს განიხილავს, როგორც ერთგვარ უსაფრთხოების გარანტს, რომელმაც საკუთარ პოლიტიკაში უნდა ასახოს მათი მოთხოვნები.

კვლევის მეთოდოლოგია: აღნიშნული საკითხის შესასწავლად ნაშრომში გამოყენებულია სოციალური კვლევების თვისობრივი მეთოდოლოგია. თვისობრივი კვლევის გამოყენება განაპირობებულია მისი მახასიათებლებით. ასევე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თვისობრივი კვლევა გვამლევს საშუალებას საკვლევი საკითხი შევისწავლოთ სიღრმისეულად. ეს მეთოდოლოგია საშუალებას გვამლევს ვუპასუხოთ კითხვებს „რატომ?“, და „როგორ?“, (ზურაბიშვილი, 2006, გვ.6). ამ კითხვებზე პასუხის გაცემა კი გვამლევს საშუალებას ავხსნათ ადამიანების ქცევა. „თვისობრივი კვლევის დროს ჩვენ ვიღებთ უფრო მეტ ინფორმაციას და ღრმა ცოდნას იმ ადამიანების შესახებ, რომელთა მოქმედებასაც შევისწავლით. ჩვენ არა მხოლოდ მის ქმედებას არამედ მის მოსაზრებასაც შევისწავლით“ (ზურაბიშვილი, 2006, გ. 6). თვისობრივი მეთოდოლოგია აერთიანებს სხვადასხვა მრავალ კვლევით ტექნიკას, რომლიდანაც ჩვენ კვლევაში გამოყენებული იქნება : სიღრმისეული ინტერვიუ, წერილობითი დოკუმენტების შესწავლა და კონტენტ ანალიზი, რომელიც თვისობრივთან ერთად რაოდენობრივ მეთოდოლოგიაშიც გვხვდება.

კონტენტ ანალიზი გულისხმობს ინფორმაციის შესწავლას „საზრისული ერთეულებზე“ დაკვირვების შედეგად. საზრისული ერთეული არის ერთეულები,

რომელთა არსებობა ან არარსებობა აინტერესებს მკვლევარს შესასწავლ დოკუმენტებში, თუ რამდენადაც ხშირად ხდება ერთი და იმავე საზრისული ერთეულის გამოყენება (ედუარდ კოდუა და სხვები., 2004, გვ. 351). ჩვენ შემთხვევაში საზრისული ერთეულია ანტი-მიგრანტული განწყობის აღმნიშვნელი სიტყვები და წინადადებები, რომელიც მოიცავს ქსენოფობიურ, რასისტულ და ნაციონალისტურ განცხადებებს. ეს ყოველივე ტექსტში გადმოცემულია სიტყვით, სიტყვათა-შეთანხმებებით. „კონტენტ-ანალიზის პროცედურა იწყება ანალიზის ორი ერთეულის „აზრობრივისა“ და „თვლის ერთეულის“ გამოყოფით ამ დროს, მთავარი აზრობრივი ერთეული უნდა იყოს სოციალური იდეა, სოციალურად მნიშვნელოვანი თემა“. (ედუარდ კოდუა და სხვები., 204, გვ.351).

რაც შეეხება სიღრმისეულ ინტერვიუებს, თვისებრივი მეთოდის ეს ტექნიკა ფართოდ გამოიყენება სოციალურ მეცნიერებაში, რომელიც გვაძლევს საშუალებას უკეთ შევისწავლოთ საკითხი, როგორც აღნიშნავენ სიღრმისეული ინტერვიუს მიზანია გავიგოთ რესპოდენტისგან მაქსიმალური ინფორმაცია შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით. „სიღრმისეული ინტერვიუს მთავარი ღირსება ისაა, რომ რომ გვაძლევს საშუალებას, ინტერვიუს მსვლელობისას წამოვწიოთ ან განვავითაროთ ახალი თემები, რომლებიც აქტუალურია გამოკვლევისათვის, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო არ იქნა წინასწარ გათვალისწინებული კვლევის დაგეგმვის დროს.“ (ზურაბიშვილი, 2006, გვ. 18).

გამომდინარე აქედან კვლევის ეს ტექნიკა გამოყენებული იქნება ჩვენი კვლევის ფარგლებში, რაც მოგვცემს საშუალებას უშუალოდ ამ საკითხების სპეციალისტებისგან და იმ ჯგუფის წევრებისგან მოვიპოვოთ ინფორმაცია, რომლებიც უკავშირდებიან მიგრაციის პოლიტიკას და ანტი-მიგრანტულ განწყობას.

სიღრმისეული ინტერვიუს დროს გამოვიყენე არაალბათური შერჩევა, თავდაპირველად განვსაზრვრე გენერალური ერთობლიობა. შემდეგ საფეხურზე დავიწყე ამ ერთობლიობიდან არაალბათური ტექნიკით იმ ადამინების შერჩევა, რომლებიც უშუალოდ ითვლებიან საკვლევი საკითხის ექსპერტებად. გამოვიყენე მიზნობრივი ანუ შეფასებითი შერჩევა, რაც გულისხმობს შერჩევას, რომელიც გარკვეული მიზნით ანდა ექსპერტთა შეფასების საფუძველზე ხდება“ (წულაძე, 2008, გვ. 42). არაალბათური შერჩევა განპირობებულია იყო საკვლევი საკითხით, რომელიც

საჭიროებს სპეციალურ ცოდნას. შესაბამისად შერჩევა განვახორციელებ მინიმუმდარტულად. რაც შეეხება უშუალოდ არალბათურ შეჩევისას გამოყენებულ ტექნიკას, კვლევისას გამოყენებული იყო „თოვლის გუნდა“ რაც გულისხმობს „რიცხოზრევად მცირე ჯგუფებიდან შერჩევითი ერთობლიობის განსაზღვრის მეთოდს“ (წულაძე, 2008, გვ. 42). რომლის დროსაც რეკომენდაციის საფუძველზე მოვახდინე ინტერვიუების ჩატარება.

კვლევის პროცესში ასევე გამოყენებულია წერილობითი დოკუმენტების ანალიზი, რომელიც გვაძლევს საშუალებას დავინახოთ ურთიერთმიმართება ცვლადებს შორის, რომელიც ჩვენს შემთხვევაში არის ანტი-მიგრანტული განწყობა და ქვეყნის მიგრაციული პოლიტიკა.

ოპერაციონალიზაცია: საკვლევი საკითხის შესასწავლად მნიშვნელოვანია შევისწავლოთ ცვლადებს შორის ურთიერთმიმართება. საკვლევი საკითხიდან გამომდინარე კვლევა მოიცავს ორ ცვლადს, რომელიცაა ანტი-მიგრანტული რიტორიკა და ქვეყნის მიგრაციული პოლიტიკა. მათ შორის ურთიერთმიმართების შესწავლა შეგვიძლია იმ ინდიკატორებზე დაყრდნობით, რომლებსაც მოიცავს ეს ცვლადები.

კვლევის დასაწყისში განვსაზღვრე დამოუკიდებელი და დამოკიდებული ცვლადი. ეს უკანასკნელი არის ქვეყნის მიგრაციული პოლიტიკა, რომელიც გამოიხატება სახელმწიფო პოლიტიკაში მიგრაციასთან დაკავშირებით. სახელმწიფო პოლიტიკის შესწავლისთვის გამოვყავი ის სახელმწიფო დოკუმენტები, რომელიც უშუალოდ ეხება საემიგრაციო პოლიტიკას და ისინი შევადარე ერთმანეთს დროის მიხედვით, ასევე გავეცანი სახელისუფლებო წარმომადგენლების განცხადებებს და ინიციატივებს, რომელიც შეეხებოდა საემიგრაციო პოლიტიკას და შევადარე ეს მონაცემები ანტი-მიგრანტული განწყობის ინტენსიობას, თუ როგორ იცვლებოდა სახელისუფლებო ძალის პოლიტიკური გადაწყვეტილებები და განცხადებები ანტი-მიგრანტული ინტენსიობის ცვლებადობასთან ერთად.

რაც შეეხება დამოუკიდებელ ცვლადს, ანტი-მიგრანტულ განწყობას (რიტორიკას) მთავარ ინდიკატორებად წარმოვადგინე ანტი-მიგრანტული ჯგუფები. განვსაზღვრე მათი რაოდენობა და მოქმედების არეალი.

დამოუკიდებელი ცვლადის შესასწავლად ასევე მნიშვნელოვნად ჩავთვალე იმ პოლიტიკური პარტიების შესწავლა, რომელიც აქცენტს აკეთებენ მიგრანტების რაოდენობაზე და ცდილობენ ამით საკუთარი ელექტორატის მობილიზებას. ძირითადად ნაშრომში განხილულია პარტიები, რომლებმაც არჩევნებში წარმატებას მიაღწიეს. ამ პარტიებს ჰყავთ სტაბილური ამომრჩეველი, რომლებიც იზიარებენ ანტი-მიგრანტულ განწყობას, რაზეც საჭიროდ ჩავთვალე ყურადღების გამახვილება.

ნაშრომში ასევე ერთ-ერთ ინდიკატორად გამოყენებულია ბეჭდური, ინტერნეტ და სატელევიზო მედია, რომლებიც კვლევის დასაწყისში შეირჩა. შერჩევა მოხდა მიზანმიმართულად, რაც გულისხმობდა ისეთი მედიის შესწავლას, რომლებიც აჟღერებენ ანტი-მიგრანტულ მესიჯებს და ხასიათდებიან ნაციონალისტური გამოვლინებებით.

აღნიშნული ინდიკატორების შესწავლით მოხდა ანტი-მიგრანტული განწყობისა და ქვეყნის მიგრაციული პოლიტიკის ურთიერთმიმართების კვლევა.

თავი I: ანტი-მიგრანტული განწყობა საქართველოში

ნაშრომის პირველ თავში განხილულია საქართველოში არსებული ანტი-მიგრანტული განწყობა, რომელიც გამოიხატება საქართველოში მოქმედი საზოგადოებრივი ჯგუფების რიტორიკაში, საპარლამენტო და არასაპარლამენტო პოლიტიკური პარტიების განცხადებებში და მედია საშუალებებში, რაც საერთო ჯამში ქმნის ანტი-მიგრანტულ განწყობას. ნაშრომში ეს სამი ინდიკატორი სამ ქვე თავშია მოქცეული, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ ცალკეული ინდიკატორები უკეთ შევისწავლოთ. ცალკეული ინდიკატორები გამოხატავს საზოგადოებრივ აზრს.

საკითხის უკეთ გააზრებისთვის მნიშვნელოვანია შევისწავლოთ საზოგადოებრივი ჯგუფები, რომელიც იმიგრანტთა რაოდენობას საფრთხედ მიიჩნევს და ცდილობს ამ საკითხის გარშემო შექმნას საზოგადოებრივი ინტერესი, რომელიც შემგომში ყალიბდება, როგორც ერთიანი პოზიცია. მსგავსი ჯგუფები ქვეყანაში წარმოადგენს დაინტერესებულ მხარეს, რომელიც ცდილობს მათთვის პრობლემური საკითხი პოლიტიკურ დღის წესრიგში მოაქციოს. აქედან გამომდინარე მსგავსი განწყობის მქონე ჯგუფების შესწავლა მნიშვნელოვნად გაამარტივებს საკვლევო საკითხის გააზრებას.

პოლიტიკური პარტიების და პოლიტიკოსების განცხადებების შესწავლა განპირობებულია მათი, როგორც საჯარო პირების სტატუსით, რომელთა განცხადებებიც მნიშვნელოვნად განაპირობებს საზოგადოებრივ განწყობას, ამის გათვალისწინებით მათი განცხადებები და პოლიტიკური პლათფორმები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია.

ნაშრომში ერთ-ერთ ინდიკატორს წარმოადგენს მედია სივრცე, რომელიც საზოგადოებრივი აზრის გავრცელების მასობრივი საშუალებაა. მედიის საშუალებით სხვადასხვა ჯგუფს შეუძლია, შეტყობინებების გაგზავნა ფართო საზოგადოებისთვის და მთავრობის წარმომადგენლებისთვის. მედიას შესაძლებლობა აქვს საზოგადოებრივი ყურადღება მიმართოს კონკრეტული საკითხისკენ, აქედან გამომდინარე მედია შესაძლებელია მოვიაზროთ, როგორც „ალტერნატიული შესაძლებლობა ისეთი

ტრადიციული ინსტიტუტებისა, როგორცაა საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება. მედიას, როგორც ერთ-ერთ საზოგადოებრივ ინსტიტუტს შესაძლებლობა აქვს შეცვალოს პრობლემის არსი ან ხელი შეუწყოს ისეთი პრობლემის გაჩენას, რომელიც უწინ საზოგადოებრივი ინტერესის საგანი არ იყო“. (Shafritz, 2004 as cited in Megrelishvili, 2016). გამომდინარე აქედან მნიშვნელოვანია შევისწავლოთ მედიის როლი ანტი-მიგრანტული განწყობის ჩამოყალიბებაში.

1.1 საქართველოში მოქმედი ანტი-მიგრანტული ჯგუფები

ანტი-მიგრანტული განწყობის შესწავლას ვიწყებ საქართველოში მოქმედი ნაციონალისტური ჯგუფების შეფასებით, რომელთა განცხადებებში და გაცხადებულ პოლიტიკურ კურსში გვხვდება ქსენოფობიური, ნაციონალისტური და რასისტული რიტორიკა. შეზღუდული რესურებიდან გამომდინარე კვლევაში ყურადღება გამახვილებული იქნება ყველაზე აქტიურ ჯგუფებზე, რომელშიც გაერთიანებული არაინ სხვა მსგავსი სახის ძალები. აღნიშნული ჯგუფები ხასითდებიან ფართო მხარდაჭერით, რაც ქმნის წინაპირობას და შესაძლებლობას მომავალში ვიხილოთ ახალი პოლიტიკური პარტიები მათი მონაწილობით.

„ქართული მარში“ ერთ-ერთი ყველაზე მზარდი და წამყვანი ულტრანაციონალისტური ჯგუფია საქართველოში. მარში ულტრანაციონალისტურად მიიჩნევა, რადგან მისი გაცხადებული კურსი ქართულ სახელმწიფოსა და ხალხს მიიჩნევს სხვა ერებზე უპირატესად. ჯგუფი აერთიანებს სხვადასხვა მიკრო ჯგუფებს, მათ შორისაა ნეონაციონალისტური ჯგუფებიც. ქართული მარშის იდეოლოგია ეფუძნება მკვეთრად გამოხატულ ანტი-მუსლიმურ და ანტი-მიგრანტულ რიტორიკას, რომლის გამოყენებითაც მარში ცდილობს დაიცვას ოჯახური ღირებულებები.(სტეფანი, 2018, გვ. 6). ქართული მარში ცდილობს ულტრანაციონალისტური ჯგუფებს შორის გავლენა მოიპოვოს და საზოგადოებრივი ინტერესის ობიექტი გახდეს. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ „ქართული მარშის“ ორგანაზიებული 2017 წლის 14 ივლისს დემონსტრაცია, სადაც მოითხოვდნენ საემიგრაციო კანონის გამკაცრებას,

არალეგალური მიგრანტების დეპორტაციას და ასევე უცხოელებისთვის საბინადრო (მაცხოვრებლის) მოწმობის აღების გამკაცრებას. (სტეფანი, 2018, გვ. 6). უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დემონსტრაციაზე გამოყენებული განცხადებები შეიცავდა რასიზმს, რითაც ხდებოდა მიგრანტების მარგინალიზება და ქვეყნისთვის მათი რაოდენობის, ეროვნული უსაფრთხოებისთვის სარისკოდ მიჩნევა. უსაფრთხოებასთან მიმართებით ეროვნულობის იდეა გამოიხატებოდა ნაციონალისტურ განცხადებებში მაგალითისთვის: „საქართველო ქართველებისთვის“, „დაბრუნდით იქ სადაც თქვენი ადგილია“ (ჯღარკავა, 2017, გვ. 8). ასევე მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ მარში გამოდის ინიციატივით შეიქმნას „სამოქალაქო პატრული“, რომელიც უზრუნველყოფს ადგილობრივი მოსახლეობის დაცვას მიგრანტებისგან. ეს პოზიცია ოფიციალურად განაცხადა „ქართული მარშის“ დამფუძნებელმა მედიასთან საუბრის დროს. (ლიბერალი, 2018). ამ ინიციატივას თან ახლდა ისეთი განცხადებები როგორცაა „ჩვენ გავწმენდთ საქართველოს ქუჩებს უცხოელი კრიმინალებისგან“, ამ განცხადებაში იკვეთება მიგრანტების მიმართ იარლიყების მიწებების პოლიტიკა, რომელიც მიმართულია ფართო მასებისკენ, რამაც უნდა გააჩინოს აღქმა მიგრანტებსა და კრიმინალს შორის კავშირზე, რაც გამოიწვევს ტერმინ მიგრანტის სტიგმატიზაციას. (ჯღარკავა, 2017 გვ. 11). მარში ამასთან ერთად ასევე აპელირებს სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე და ეკონომიკურ პრობლემებს უკავშირებს მიგრანტების გაზრდილ რიცხვს. აღნიშნული ფაქტები მიუთითებს მარშის მკვეთრად ჩამოყალიბებულ იდოლოგიურ პოზიციაზე რომლის მთავარი დასაყრდენი ნაციონალისტური განწყობაა, რამაც შემდომში შესაძლებელია გაუჩინოს შესაძლებლობა გარდაიქმნას პოლიტიკურ პარტიად (სტეფანი, 2018. გვ 6). რაც საყურადღებოა, რადგან საქართველოში არსებული მძიმე პოლიტიკური კოლარიზაციის დროს შესაძლებელია მსგავსი სახის პოლიტიკური გაერთიანება მესამე ძალად ჩამოყალიბდეს.

მსგავსი სახის ჯგუფებიდან ასევე აღსანიშნავია გაერთიანება „საქართველოს ეროვნული ერთობა“ რომელიც 2017 წელს დაარსდა და წარმოადგენს ფაშისტური იდეოლოგიის მქონე ძალას. ორგანიზაცია აქცენტს აკეთებს ნაციონალიზმზე. „ჩვენ ვცხოვრობთ ჩვენს ფესვებთან“ მსგავსი ნაციონალისტური განცხადებები მათ რადიკალურ და მარგინალურ ჯგუფად წარმოადგენს, რომელიც

თავის იდეოლოგიას ნაციონალიზმს, ანტილიბერალიზმს და ევრო-სკეპტიციზმზე აფუძნებს, მიგრანტებს კი საფრთხეთ აღიქვამს და მათ ქართული საზოგადოებისთვის შეუთავსებლად მიიჩნევს.

ქართული მარშის მსგავსად საქართველოს ეროვნული ერთობა იყენებს სიმულვის ენას საკუთარი პოზიციის დაფიქსირებისას, რაც ხშირ შემთხვევაში იკვეთება მიგრანტებთან დამოკიდებულების დროს. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ მსგავსი სახის ჯგუფები აპელირებენ ტრადიციულ ეროვნულ ფასეულობაზე, მართმადიდებლურ რელიგიასა და ეროვნულ იდენტობაზე. მართმადიდებლური რელიგია წარმოადგენს მსგავსი ჯგუფების დასაყრდენს, როგორც ქვეყნის მოსახლეობის ისტორიული იდენტობის საზრისს, რომელსაც საფრთხეს უქმნის მიგრანტთა გაზრდილი რიცხვი. „მართმადიდებლური ქრისტიანობის გლობალიზაციისგან დაცვა არის საჭირო“ აქ მოიზრება მიგრანტებისგან დაცვა, ძირითად შემთხვევაში კი აქცენტი კეთდება მუსლიმ მიგრანტებზე. (Sabanadze, 2010 as cited in Stephani, 2018). ანტი-მიგრანტული ჯგუფებისთვის ასევე მანიპულაციის საბაზი გახდა „ქართული მიწის გასხვისების“ საკითხი, რომელზე დაყრდნობითაც მათ შეძლეს მხარდამჭერების მობილიზება და შექმნეს ფონი, რომ ქართული მიწის გაყიდვით ქართველები უმცირესობაში აღმოჩნდებიან.

როგორც აღვნიშნეთ მსგავსი ჯგუფები აქცენტს აკეთებენ ქართულ იდენტობაზე და იმიგრანტების გაზრდილ რიცხვს ნაციონალისტური არგუმენტებით ქვეყნისთვის შეუსაბამოდ თვლიან. ექსპერტთა შეფასებით ქართული საზოგადოება, ისტორიულად ტოლერანტულია უცხოელთა მიმართ. ანტი-მიგრანტული განწყობა მათი აზრით უფრო ეკონომიკურ ფაქტორს ეფუძნება ვიდრე ეთნიკურსა და იდენტობის პრობლემას.

"ვფიქრობ ზოგადად, ქართველები ტოლერანტულნი არიან უცხოელთა მიმართ. თუმცა კონკრეტულ შემთხვევაში არ არის გამორიცხული უარყოფითი განწყობა. ამის ბევრი მიზეზი არსებობს. ჩემი აზრით, ერთ-ერთია ჩვენს ქვეყანაში სიღარიბის მაღალი დონე. უცხოელი, რომელიც წარმატებით აფუძნებს და მართავს ბიზნესს საქართველოში, ადგილობრივი მოსახლეობის გაღიზიანებას იწვევს იმ მიზეზების გამო, რომ ბევრ ქართველს არც ფინანსური რესურსი გააჩნია, არც ცოდნა და გამოცდილება

აქვს ბიზნესის სწორად წარმართვისათვის." *[ინტერვიუ: ია იაშვილი, ექსპერტი, ასოცირებული პროფესორი].*

საზოგადოებაში არსებულ ანტი-მიგრანტულ განწყობას ასევე ეკონომიკურ საკითხებს უკავშირებს მარკ ჰულსტიც, რომელიც არის მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის პროგრამების ხელმძღვანელი საქართველოში. ასევე მსგავსი განწყობის არსებობა შესაძლებელია იყოს გამოწვეული ნაციონალისტური განწყობითაც, რომელსაც სხვა საკითხებიც განაპირობებენ. მისი განცხადებით "საქართველო არ წარმოადგენს გამონაკლს, მთელ მსოფლიოში, უფრო კი ევროპაში არის ცალსახად საიმიგრაციო პოლიტიკის გამკაცრების მოთხოვნა" ეს ყოველივე კი მისი აზრით ეფუძნება უსაფუძვლო შიშს, რომელიც გამოხატულია მსგავსი ჯგუფების არსებობაში. მათ პოლიტიკურ გამოხატულებას კი ხელს უწყობს ულტრა მემარჯვენე პოლიტიკური ძალები, რომლებიც პასუხიმგებლობას იღებენ მიგრაციის კონტროლზე. ექსპერტი მიიჩნევს, რომ მსგავსი სახის ჯგუფები ცდილობენ შექმნან ემოციური ფონი საზოგადოებაში და მოახდინონ მხარდამჭერების მობილიზება. აქედან გამომდინარე საქართველოშიც არსებობს მსგავსი ჯგუფები, რომლებიც მისი თქმით იყენებენ პოპულიზმს და ცდილობენ საზოგადოებრივი განწყობა ამ მიმართულებით წარმართონ.

რაც შეეხება საზოგადოებრივ პოზიციის ჩამოყალიბებას ექსპერტთა აზრით ეს მაინც ძირითად შემთხვევაში განპირობებულია ეკონომიკური ფაქტორებით, მათი აზრით საქართველოში საიმიგრაციო პოლიტიკა ევროკავშირთან შედარებით რთული არაა, საქართველო მიმზიდველია ინვესტორთათვის, რადგან აქ ბიზნესი დაწყება მარტივია, რაც განაპირობებს მათ შემოსვლას ქართულ ბაზარზე. ექსპერტი აგრძელებს ეკონომიკურ სიტუაციაზე საუბარს და ამბობს, რომ შემოსული ინვესტორისთვის საქართველოში არ არსებობს კვალიფიკური კადრები, ამის გამო მათ უწევთ სხვა ქვეყნების წარმომადგენლების დასაქმება, რაც ადგილობრივებში უარყოფითად აღიქმება.

მსგავსი პოზიცია გააჩნია ესპერტს, შრომითი მიგრაციის საკითხებში, ელზა ჯგერენაიასაც, რომელიც საზოგადოებაში ვერ ხედავს ნაციონალისტური მოსაზრებებით

გამოხატულ ანტი-მიგრანტულ განწყობას და ამ განწყობას ცალსახად ეკონომიკურ საკითხებს უკავშირებს, რომელსაც იყენებენ საზოგადოებრივი ჯგუფები და ეს გაადაქვთ ნაციონალისტური დონეზე. აქვე უნდა ითქვას, რომ კვლევის პროცესში გამოკითხულ ექსპერტთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ საზოგადოებაში არსებობს შიში, რომ ბიზნესი და უძრავი ქონება უცხოელთა ხელში აღმოჩნდება, რაც საბოლოო ჯამში დააზარალებს ქვეყანას. ექსპერტთა უმრავლესობისთვის მთავარი პრობლემა ცალსახად ეკონომიკურია, რომელიც შემდგომში იწვევს ნაციონალისტურ მიდრეკილებას. ექსპერტები ასევე მიიჩნევენ, რომ „საქართველოში იმიგრაციის დონე ზრდადია, რაც იმის მანიშნებელია, რომ ქვეყანა ვითარდება და წინ მიდის, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს ადგილობრივი მოსახლეობის კონკურენციის ან მათი ინტერესების ხარჯზე" სწორედ კონკურენცია იწვევს შიშს საზოგადოებაში, რომელსაც გამოხატავენ საქართველოში მოქმედი ანტი-მიგრანტული ჯგუფები.

"საქართველოს აქვს გაკეთებული მიზნობრივი არჩევანი. საქართველოს უნდა, რომ ინვესტორთათვის იყოს მიმზიდველი და ამას ის ახერხებს მოქნილი და ნაკლებად რთული კანონმდებლობით, მაგრამ საქართველოს პოლიტიკა საიმიგრაციო კუთხით ადრე იყო მხოლოდ ამ თემაზე ორიენტირებული, რამაც გააჩინა მეტი კონკურენცია ადგილობრივებსა და უცხოელებს შორის, რაც გახდა საზოგადოებრივი განწყობის განმაპირობებელი" *[ინტერვიუ: მარკ ჰულსტი, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ხელმძღვანელი]*

ჰულსტი ასევე ყურადღებას ამახვილებს არალეგალურ იმიგრაციაზე, რომელიც კიდევ უფრო ართულებს ბაზარზე კონკურენციას. ამის მიზეზად ის კანონმდებლობაში არსებულ "ხვრელებს" მიიჩნევს, რაც საჭიროებს საიმიგრაციო კანონმდებლობის გადახედვას.

ექსპერტთა უმრავლესობა განხილული ჯგუფების გავლენის ზრდას ადასტურებს, თუმცა ასევე მიიჩნევენ, რომ მსგავსი ჯგუფების გავლენა არ არის იმდენად დიდი, რომ მხოლოდ მათ განსაზღვრონ სახელმწიფოს პოლიტიკური დღის წესრიგი იმიგრაციის კუთხით. არ უარყოფენ რა მსგავსი ჯგუფების გავლენის ზრდას, ამ ყოველივეს უკავშირებენ სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის კომუნიკაციის

არ არსებობას. მათი განცხადებით სახელმწიფოს, არ აქვს სწორი კომუნიკაცია თავის მოსახლეობასთან, რაც ხელს უწყობს რადიკალურ ჯგუფებს შექმნან ფონი იმიგრანტების რაოდენობასა და სხვადასხვა პრობლემებს : საციალური, ეკონომიკური და გაზრდილ კრიმინალს შორის.

მსგავსი ჯგუფები ნახსენებ კომუნიკაციის ნაკლებობას იყენებენ სათვინასოდ და აყალიბებენ პოზიციას, რომელიც შემდეგ ხდება საზოგადოებრივი ინტერესის ნაწილი. ექსპეტები არ უარყოფენ, რომ საქართველოში ნაკლებად კონტროლდება უცხოელთა შემოსვლა.

"საქართველოში თითქმის ყველას შეუძლია მარტივად შემოსვლა. ევროკავშირის კანონმდებლობასთან შედარებით ქართული კანონმდებლობა არ არის მკაცრი ამ მიმართულებით, რაც იწვევს ხშირ შემთხვევაში სხვადასხვა მანიპულაციის გზით საქართველოში უცხოელების შემოსვლას და მათი რაოდენობაც შესაბამისად იზრდება" *[ინტერვიუ: მარკ ჰულსტი, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ხელმძღვანელი].*

აქედან გამომდინარე ეს იწვევს საზოგადოებაში აღქმას, რომ მიგრანტების რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც მათი აზრით ეკონომიკური საფუძვლების უცხოელთა ხელში გადასვლას ნიშნავს. ამგვარი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას ექსპერტი ელზა ჯგერენაია უკავშირებს სახელმწიფოს პოლიტიკას.

„სახელმწიფო თავისი მოქალაქეების მიმართ არ არის პროტექციონალისტური და ვერ ქმნის იმის საშუალებას, რომ საკუთარი მოქალაქე გახადოს უფრო კვალიფიციური შრომით ბაზარზე, რის შემდეგაც ის გახდება კონკურენტული. სამუშაო ადგილები უფრო მეტად უნდა იყოს ადგილობრივი მუშახელისთვის. სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ადგილობრივი მუშა ხელის დასაქმებაზე, მაგრამ პრობლემა არის იმაში, რომ ადგილობრივ მუშა ხელს არ აქვს ის უნარები და ცოდნა, რომელიც მას სჭირდება. ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ შრომითი საქმიანობის კუთხით მკვეთრად განსხვავდება ადგილობრივებისა და უცხოელების მდგომარეობა, რაც ასევე იწვევს ადგილობრივების გაღიზიანებას, რასაც იყენებენ აღნიშნული ჯგუფები“ *[ინტერვიუ: ელზა ჯგერენაია შრომითი მიგრაციის ექსპერტი].*

როგორც ვხედავთ ექსპერტები ძირითადად ყურადღებას უთმობენ ეკონომიკურ საკითხებს, რაც იწვევს მსგავსი ჯგუფების ჩამოყალიბების შესაძლებლობას. ეს ჯგუფები იყენებ ქვეყანაში არსებულ შედარებით მძიმე სოციალურ მდგომარეობას და მას უკავშირებენ იმიგრანტებს და ცდილობენ ადგილობრივების თვალში იმიგრანტები წარმოადგინონ საფრთხეთ, რომლებიც მათ ემუქრებათ ეკონომიკურად და სოციალურად.

აღნიშნულის გათვალისწინებით ქართულ პოლიტიკურ გარემოში საკმაოდ შეინიშნება ანტი-მიგრანტული განწყობა, რასაც რადიკალურ პოლიტიკურ ჯგუფებთან ერთად ხელს უწყობს პოლიტიკური პარტიებიც, რომელზე საუბარსაც შემდეგ ნაწილში განვაგრძობ.

1.2 ანტი-მიგრანტული განწყობების მქონე პოლიტიკური პარტიები საქართველოში

საქართველოში არსებული პოლიტიკური სივრციდან გამომდინარე მნიშვნელოვანია გავეცნოთ იმ პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც თავიანთ საარჩევნო პროგრამაში და პოლიტიკურ კურსსში ყურადღებას ამახვილებენ ნაციონალიზმზე და აქტიურად იყენებენ ანტი-მიგრანტულ რიტორიკას. უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი სახის პოლიტიკურ პარტიებს საქართველოს მოსახლეობის საკმაოდ მყარი და მზარდი ელექტორატი უჭერს მხარს. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ძალა "საქართველოს პატრიოტთა ალიანსი", რომელიც იყენებს ნაციონალისტურ და ანტი-მიგრანტულ რიტორიკას პარლამენტშია წარმოდგენილი, სადაც საკანონმდებლო დონეზე ინიცირებას ახდენს ინიციატივებისა, რომელიც მოითხოვს საემიგრაციო პოლიტიკის გამკაცრებას. კვლევის შეზღუდული რესურსებიდან გამომდინარე ამ ქვეთავში განხილულია პარტიები და პოლიტიკური აქტორები, რომლებიც ყველზე მეტად გამოირჩევიან ანტი-მიგრანტული განწყობებით. აღნიშნულიდან გამომდინარე ანტი-მიგრანტული განწყობის ასახვა პოლიტიკურ დონეზე საჭიროებს შედარებით ღრმა ანალიზს.

"საქართველოს პატრიოტთა ალიანსი" ულტრამემარჯვენე პოლიტიკური ძალაა, რომელიც თავისი ამომრჩევლის მობილიზებისთვის იყენებს ნაციონალისტურ განწყობას. "ქართველმა ხალხმა, უნდა მართოს საქართველო" ამასთან ერთად პარტია ცნობილია ქსენოფობიური რიტორიკით და ანტი-თურქული სენტიმენტებით. (სტეფანი, 2018, გვ. 4). პარტია ფორმალურად მხარს უჭერს საქართველოს ევროკავშირში შესვლას, თუმცა ამასთან ერთად ხშირად აკრიტიკებს ხელისუფლების პოლიტიკურ კურსს და საუბრობს იმ საფრთხეებზე, რომელიც ევროკავშირში გაწევრიანებას შეიძლება მოჰყვეს. ეს ყოველივე რიგ შემთხვევაში ემყარება არასწორ ინფორმაციას, მიუხედავთ ამისა გარკვეულ წილად მოსახლეობაში იქმნება საფრთხის მოლოდინი და განცდა, რომ ევროკავშირში გაწევრიანებას შეიძლება მოჰყვეს რიგი პრობლემები, რომელიც მიგრანტებს უკავშირდება. პატრიოტთა ალიანსის ლიდერები აკეთებენ განცხადებებს, რომელიც ხშირ შემთხვევაში არ შეესაბამება სიმართლეს და ის მხოლოდ მანიპულაციის საშუალებაა. პარტია იყენებს "Ad nauseam" -ის ტექნიკას, რომელიც ერთი და იმავე იდეის განუწყვეტლივ გამეორებაა ისეთი სიხშირით, რომ ადამიანები მას იჯერებენ. პატრიოტთა ალიანსი ფლობს ტელევიზია "ობიექტივს", რომელიც ახდენს მსგავსი მეთოდით, ხშირ შემთხვევაში გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელებას, რომელიც შემდეგ იწვევს საჯარო ინტერესს და ხდება განხილვის საგანი, რაც აყალიბებს ილუზიას მიგრანტების საკითხის მიმართ.

2018 წლის 26 მარტს პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ტელევიზია ობიექტივის ეთერში აკეთებს განცხადებას ევროკავშირთან მიმართებით. სადაც გაჟღერებულია ინფორმაცია, რომ ევროკავშირთან ვიზალიბერალიზაციამ საქართველო დაავალდებულა მიიღოს სირიელი მიგრანტები, რაც არ შეესაბამება სიმართლეს. (მარშანია, 2018). მსგავსი სახის დეზინფორმაცია ხშირად გვხვდება პარტიის ლიდერების განცხადებაში. 2017 წლის 19 ოქტომბერს პარტიის ერთ-ერთი წევრის განცხადებით აზიური იდენტობის პირები, ბინადრობის უფლების საფუძველზე იცვლიან გვარებს და სახელებს, რაც მისი შეფასებით ქართული იდენტობისთვის საფრთხის მომტანია. (ოთარაშვილი, 2017) ეს განცხადება ბევრ უზუსტობას შეიცავს, რადგან საქართველოს კანონმდებლობა "სამოქალაქო აქტების შესახებ" არეგულირებს სახელისა და გვარის შეცვლის საკითხს, რომლის მიხედვითაც სახელისა და გვარის შეცვლა შეუძლია

საქართველოს მოქალაქეს და სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირს, რომლის დაბადება რეგისტრირებულია საქართველოში. (საქართველოს კანონი სამოქალაქო აქტების შესახებ, 2011) ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ მსგავსი სახის რიტორიკას პარტიის წარმომადგენლები საკანონმდებლო ტრიბუნადაც მიმართავენ, პარტიის ლიდერის განცხადება, რომელიც მან პარლამენტში გამოსვლისას გააკეთა შეიცავს ნაციონალისტურ განწყობას და მიგრანტების რიცხვს ქვეყნისთვის სერიოზულ პრობლემად წარმოადგენს, რადგან მისი თქმით მიგრაციის მაღალმა მაჩვენებელმა შესაძლებელია ქართველები უმცირესობაში დატოვოს, რაც გამოიწვევს ქართული იდენტობის დაკარგვას. როგორც უკვე აღვნიშნეთ პარტია განსაკუთრებით გამოირჩევა ანტი-თურქული სენტიმენტებით, რასაც ადასტურებს, ტელევიზია ობიექტივში გაჟღერებული ინფორმაცია, რომელიც მიუთითებდა, რომ საქართველოში 25 000 თურქმა მოქალაქემ ბინადრობის უფლება მიიღო და მათ საქართველოს მოქალაქეობა მიენიჭა, (ობიექტივი, 2018) რაც ასევე დეზინფორმაცია. როგორც ამ მაგალითებიდან ჩანს საქართველოს პატრიოტთა ალიანსი მკვეთრად გამოხატული ნაციონალისტური იდეოლოგიისაა, რომელიც თავის თავში აერთიანებს ანტი-მიგრანტულ განწყობას და ქსენოფობიას. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პარტია საქართველოს პარლამენტში რიგით მესამე პოლიტიკური ძალაა. ბოლო არჩევნების მიხედვით პატრიოტთა ალიანსმა მიიღო ხმების 6.65 %, რაც დაახლოებით 100 000 ხმაა(ცესკო, 2018) აქედან გამომდინარე საყურადღებოა მათ მიერ გამოყენებული რიტორიკა და მისი ასახვა საკანონმდებლო დონეზე.

ზემოთ საუბარი გვქონდა საკანონმდებლო პარტიაზე ახლა კი გვინდა ყურადღება გავამახვილოთ იმ პოლიტიკურ ორგანიზაციებზე, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა დონის არჩევნებში მონაწილეობდნენ და გამოიყენებდნენ ანტი-მიგრანტულ რიტორიკას, როგორც ერთ-ერთ საშუალებას ელექტორატის მოსაპოვებლად.

„თავისუფალი საქართველო“ ერთ-ერთი იმ პარტიათაგანია, რომელიც აქტიურად იყენებს ანტი-მიგრანტულ რიტორიკას. პარტიის ლიდერი და დამფუძნებელი მონაწილეობდა საპრეზიდენტო არჩევნებში, რომლის საარჩევნო კამპანია უკავშირდებოდა საემიგრაციო პოლიტიკას. ამას მოწმობს საარჩევნო პერიოდში კანდიდატის პოლიტიკური რეკლამაც, რომელიც სხვადასხვა ტელევიზიით გადიოდა

წინასაარჩევნო პერიოდში. პოლიტიკური რეკლამის შინაარსი შეიცავს ქსენოფობიურ და რასისტულ გამოვლინებებს „საქართველო თურქეთიდან და არაბული ქვეყნებიდან მიგრანტებს არ უნდა იღებდეს“ ვიდეო რგოლში მიგრანტები წარმოდგენილი არაიან, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის შეუთავსებელი სუბიექტები, რადგან ისინი ქვეყნის უსაფრთხოებას უქმნიან საფრთხეს. (კუკავა, 2018).

პარტიის საპრეზიდენტო კანდიდატი თავის მოსაზრებებს აფიქსირებდა პოლიტიკურ განცხადებებშიც, ამის მაგალითია 2018 წელს პირველი არხის გადაცემა „დებატები 2018“ გაკეთებული განცხადება, რომელშიც გაჟღერებულია ანტი-მიგრანტული რიტორიკა. მისი განცხადებით „თუ მე ქართველი ხალხის მხარდაჭერა მექნება ბინადრობის მოწმობას ვერც ერთი მიგრანტი ვერ მიიღებს“ (კუკავა, 2018) პარტია ასევე წინააღმდეგია მოხდეს „ქართული მიწის გასხვისება უცხოლებზე“ „მათი განცხადებით ქართული მიწა არ უნდა იქნეს გაყიდული უცხოლებზე, რადგან მიწის ფონდის გაყიდვით ქართული მოსახლეობა კარგავს ეკონომიკურ საფუძვლებს და ქართული მიწა გადადის უცხოელთა ხელში. პარტია აკრიტიკებს საემიგრაციო კანონს და და მიიჩნევს, რომ „ქვეყანაში ათი ათასობით აზიელი მიგრანტია, რომელიც საფრთხეს უქმნის ქვეყნის თვითმყოფადობასა და სტაბილურობას.“

აღსანიშნავია ისიც, რომ პარტია „თავისუფალი საქართველოს“ საპრეზიდენტო კანდიდატი გამოირჩეოდა „სიძულვის ენით“ წინასაარჩევნო კამპანიის დროს. „მედია განვითარების კვლევის მიხედვით“ მსგავსი განცხადებების მხრივ პარტიის საპრეზიდენტო კანდიდატმა ჯამში 19-ჯერ გამოიყენა „სიძულვილის ენა“ აქედან უშუალოდ 14 განცხადება ეხებოდა საემიგრაციო პოლიტიკასა და მიგრანტებს, რომლებიც წარმოდგენილი იყო ყველაზე დიდ საფრთხეთ საქართველოსთვის. (გოგოლაძე, 2018, გვ. 4). მიგრანტების გაზრდილი რაოდენობა პარტიისთვის აღიქმება, როგორც ქართული იდენტობისთვის საფრთხე, რადგან მიგრაციამ შესაძლებელია საქართველოში ეთნიკური ქართველები უმცირესობად აქციოს“ (გოგოლაძე, 2018, გვ. 5). პარტიის საპრეზიდენტო კანდიდატი და ზოგადად პარტიის გაცხადებული კურსი, როგორც ვნახეთ შეიცავს ანტი-მიგრანტულ განწყობას. მსგავსი საკითხებზე აპელირება კი ქმნის მანიპულაციის საშუალებას, რაც შემდგომში იწვევს მიგრანტების საფრთხეთ აღქმას მოსახლეობაში, რომელიც შემდეგ აისახება პოლიტიკურ ქმედებაში. მსაგავსი

განცხადებებით მანიპულირება იწვევს მიგრანტების სტიგმატიზაციას საზოგადოებაში და მიგრანტებისა და გაზრდილი კრიმინალის, ეკონომიკური თუ სოციალური პრობლემების დაკავშირებას ერთმანეთთან, რაც იწვევს საზოგადოების გარკვეული ჯგუფების კონსოლიდირებას საემიგრაციო პოლიტიკის გადახედვის მიზნით. უნდა აღინიშნოს, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში პარტიის კანდიდატმა მიიღო ხმათა 1.31 %, რაც 21 186 ხმაა. (ცესკო, 2018).

ანტი-მიგრანტული განწყობა (რიტორიკა) გვხვდება პარტია „ქართული დასის“ პროგრამასა და განცხადებებში. პარტიის ლიდერი და წარმომდგენლები 2018 წლის 24 დეკემბრის აქციაზე, რომელიც იმართებოდა საგარეო საქმეთა სამინისტრასთან აპროტესტებად „გაეროს მიგრანტთა პაქტს“ რომელსაც საქართველომ მხარი დაუჭირა. აქციის მთავარი ლონჯუგი „არა უცხო ტომელთა ინტერვენციას“ გამოხატავს დამოკიდებულებას საემიგრაციო კანონთან დაკავშირებით. პარტია აქტიურად იყენებს ნაციონალიზმს და მიგრანტებს მიიჩნევს, როგორც საფრთხეს ქართული იდენტობისთვის. პარტიის ლიდერის განცხადებით „ამ პაქტის მეოთხე მუხლი გულისხმობს აზიის და აფრიკის ღარიბი ქვეყნებიდან მიგრანტების შეუფერხებელ და შეუზღუდავი რაოდენობით მიღებას. მეოთხე მუხლი ამბობს, რომ მიგრანტებისთვის უნდა მოხდეს პირადობის მოწმობების მიცემა და მათი დოკუმენტირება, ანუ მათ აქ ლეგალური მუშაობის უფლება უნდა მიეცეთ“, რაც მას მიუღებლად მიაჩნია და მიიჩნევს რომ მსგავსი საემიგრაციო გადაწყვეტილება „აზიელი და აფრიკელი მიგრანტების ჩამოსახლება სისხლისღვრას გამოიწვევს“ (ბალათურია, 2019) მსგავსი მოსაზრება და განცხადებები იწვევს საზოგადოებრივი განწყობის ცვლილებას მიგრანტებთან მიმართებით რასაც ისიც უწყობს ხელს, რომ პარტიის ლიდერი და აქტივისტები აქტიურად ცდილობენ გაავრცელონ საკუთარი იდეები მოსახელობასთან შეხვედრის დროს, (პირველი არხი, 2019). რაც ქმნის ერთგვარ დაძაბულობას, რამაც შესაძლებელია გააჩინოს პოლიტიკური ვაკუუმი ადგილობრივებსა და მიგრანტებს შორის. ქართული დასის ლიდერი ასევე აპელირებს ეთნიკური იდენტობის საკითხებითაც. მისი განცხადებით საემიგრაციო პოლიტიკა, რომელიც საჭიროებს გადახედვას ნიადაგს ქმნის რომ „საქართველოში ეთნიკური ბალანსი შეიცვალოს (გოგოლაძე, 2018, გვ. 12). როგორც ამ განცხადებიდან ჩანს „ქართული დასი“

მკვეთრად გამოხატული ანტი-მიგრანტული განწყობის მქონე პარტიაა, რომელიც სხვა მსგავს პარტიებთან ერთად ცდილობს მიგრანტების საკითხი საზოგადოებრივი ინტერესის სფეროში გადაიტანოს, რომელიც შემდგომი პოლიტიკურ გადაწყვეტილებაში უნდა იქნას ასახული.

მიგრანტებსა და საემიგრაციო პოლიტიკაზე პოლიტიკური განცხადებები ხშირ შერმთხვევაში შეიცავს „სიძულვილის ენას“ რომელიც უფრო მეტად ინტენსიური ხდება წინა საარჩევნო პერიოდში. საერთო მონაცემებით, რომელიც საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნების დროს დაფიქსირდა, მედია საშუალებებით ჯამში 117 დისკრიმინაციული განცხადება გაკეთდა, რომლის 47,9% მამართული იყო მიგრანტების საკითხთან მიმართებით. (გოგოლაძე, 2018. გვ. 2). ამის გათვალისწინებით შეგვიძლია ვისაუბროთ ანტი-მიგრანტულ განწყობაზე, რომელსაც პოლიტიკური პარტიები და მათი კანდიდატები იყენებენ ელექტორატის მობილიზებისთვის და ახდენენ მიგრანტების პრობლემის უსაფრთხოების ჭრილში გადატანას, რომელიც შემდგომი საზოგადოებრივ დამოკიდებულებაში გადაიზრდება და საჭიროებს პოლიტიკურ დონეზე არტიკულაციას.

პოლიტიკური პარტიების განხილვისას ექსპერტების ნაწილი დაეთანხმა, მოსაზრებას, რომ საქართველოში არსებული რიგი პოლიტიკური პარტიები იმიგრანტებს წარმოადგენ საფრთხედ. აღნიშნული პარტიები ცდილობენ დასაყრდენი იპოვონ შედარებით კონსერვატორულ ამომრჩეველში, რომლებისთვისაც მიუღებელია იმიგრანტების შემოსვლა ქვეყანაში. ექსპერტები ასევე ეთანხმებიან იმ მოსაზრებასაც, რომ ხშირია დეზინფორმაციის გავრცელება პარტიების მიერ, რომელიც არ შეესაბამისება რეალობას, რასაც ექსპერტები უკავშირებენ საზოგადოებასთან ხელისუფლების კომუნიკაციის ნაკლებობას.

ერთის მხრივ განმარტავენ ექსპერტები საქართველოში საემიგრაციო კანონი, რომელიც არეგულირებს უცხოელებისა და მოქალაქეობის არმქონე პირების უფლებებსა და მოვალეობებს შედარებით მარტივი იყო. 2005 წლის კანონის რედაქციით საკმაოდ მარტივი იყო ბინადრობის ნებართვის მიღება, ასევე საინვესტიციო საქმიანობა და მასზე დაყრდნობით მუდმივი ან დროებითი ნებართვის მიღება, რამაც განაპირობა

საქართველოში იმიგრანტების გაზრდა, რაც კარგად გამოიყენა პოლიტიკურმა პარტიებმა და დაიწყო ამ საკითხის ასახვა საარჩევნო პროგრამაში. ხშირად პოლიტიკური პარტიები რადიკალური ზომების მიღებას ემხრობიან, რაც არ წარმოადგენს სწორ პოზიციას. აქვე ექსპერტები ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ საქართველოს კანონმდებლობით დაწესებული თანხობრივი ცენზები იყო საკმაოდ დაბალი, რითაც შესაძლებლობა ჰქონდათ ესარგებლათ სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებს და არაკეთილსინდისიერად გამოეყენებინათ კანონის ლიბერალური რედაქცია, ამან ხელი შეწყო მსგავს პოლიტიკურ პარტიებს, რომლებმაც საარჩევნო ლოზუნგებსა და პროგრამებში ასახეს ანტი-მიგრანტული რიტორიკა.

როგორც ექსპერტები განმარტავენ „პოლიტიკური პარტიების უმეტესობა ნაკლებად იცნობს საიმიგრაციო პოლიტიკას, მათ არ აქვთ ინფორმაცია სხვა ქვეყნების გამოცდილებაზე, რეალურად ისინი მხოლოდ საკუთარი ცნობადობის გაზრდას ისახავენ მიზნად და ცდილობენ საკითხი იმგვარად წარმოადგინონ, რომ საქართველოში იმიგრაციის ისეთი მაღალი მაჩვენებელია, რომ ქართველები ეროვნულ უმცირესობაში აღმოჩნდნენ, რაც არ შეესაბამისება სიმართლეს არცერთი სტატისტიკით. პარტიათა გარკვეული ჯგუფი ცდილობს ხელოვნურად წარმოაჩინოს პრობლემა და შემდეგ თვითონ გადაჭრას ის.“ *[ინტერვიუ: ექსპერტებთან].*

მნიშვნელოვანია ასევე იმის აღნიშვნაც, რომ ინტერვიუების დროს გამოიკვეთა ტენდენცია, რომლის მიხედვითაც მსგავსი პარტიები, რომლებიც აქცენტს აკეთებენ ანტი-მიგრანტულ განწყობაზე შედარებით მცირე რაოდენობისაა საქართველოში და არც მათი რეიტინგი გამოირჩევა მზარდი პროცენტული მაჩვენებელით, თუმცა ექსპერტები თვლიან, რომ მსგავსი პარტიები საყურადღებონი არიან. რაც შეეხება სახელისუფლებო პარტიას და მის გადაწყვეტილებას საიმიგრაციო კუთხით მას ნაშრომის მეორე თავში განვიხილავთ.

ექსპერტთა ნაწილი ასევე პოლიტიკური პარტიების მიერ გამოყენებულ ანტი-მიგრანტულ განწყობას უკავშირებს საქართველოს მეზობელ სახელმწიფოს, რუსეთს, რომელიც ცდილობს მსგავსი პარტიების და სოციალური ჯგუფების გამოყენებას, მათი აზრით ეს განპირობებულია საქართველოს სურვილით გახდეს

ევროკავშირისა და ნატოს წევრი, რაც რუსეთისთვის მიუღებელია. აქედან გამომდინარე რუსული რბილი ძალა ცდილობს საკუთარ ინტერესების ქვეშ მოაქციოს პარტიათა და სოციალური ჯგუფების გარკვეული რაოდენობა და გამოიყენოს ევროკავშირში არსებული საიმიგრაციო კრიზისი, რომლის გამოყენებითაც შექმნას მოლოდინი, რომ საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ მოუწევს მიიღოს იმიგრანტები აზიური და აფრიკული ქვეყნებიდან.

კითხვაზე თუ რით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ საქართველოში მოქმედი ანტი-მიგრანტული ჯგუფები და პარტიები ძირითად შემთხვევაში ყურადღებას ამახვილებენ აზიური და ისლამური სახელმწიფოების მოქალაქეების მიმართ. ექსპერტთა აზრით მსგავსი ტენდენცია გამოწვეულია ისტორიული მახსოვრობით. ხდება მათი წარმოდგენა ჩვენი იდენტობისთვის საფრთხეთ, როგორც მართმადიდებლური ქვეყნისთვის. აქედან გამომდინარე რუსეთის მიერ გამოყენებულია სარწმუნოებრივი ერთიანობის არგუმენტი და პოლიტიკური პარტიებიც ამ საკითხებზე აპელირებით ცდილობენ მოახდინონ საზოგადოების მობილიზება და შეძლონ საკითხის იმგვარად წარმოდგენა, რომ გამოსავალი საიმიგრაციო კანონის გამკაცრებასა საგარეო კურსის გადახევაშია.

1.3 ანტი-მიგრანტული განწყობ ასაქართველოში მოქმედ მედია საშუალებებში

განხილულიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია შევხვით იმ მედია საშუალებებს, რომლებიც აქტიურად ახდენენ ანტი-მიგრანტული რიტორიკის გაჟღერებას და ხელს უწყობენ მსგავსი განწყობის შექმნას საზოგადოების გარკვეულ ჯგუფებში. კვლევაში განხილულია სატელევიზო, ბეჭდური და სოციალური მედია, რომლის საშუალებითაც ხდება მსგავსი საკითხების გაშუქება.

როგორც პოლიტიკური პარტიების, პარტიების ლიდერების ასევე მედიის საშუალებებითაც ხშირად ვხვდებით განცხადებების ისეთ ტიპს, რომელიც მოიცავს „სიძულვილის ენას“, რაც ხშირად გამოიხატება ქსენოფობიურ, რასისტულ და

ნაციონალისტურ განცხადებებში. 2017 წლის მონაცემებით, რომელიც მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდს გამოიკვეთა ექვსი მედია საშუალება, რომელიც აქტიურად იყენებს მსაგავსი სახის რიტორიკას და ქმნის განწყობას საზოგადოებაში. (კინწურაშვილი, 2017, გვ. 20). უნდა აღვნიშნოთ, რომ კვლევის ფარგლებში ყურადღება გამახვილებულია იმ მედია საშუალებებზე, რომლებიც ყველაზე აქტიურად იყენებენ მსაგავსი სახის რიტორიკას, აქედან გამომდინარე ეს არ ქმნის მთელ სურათს მედია გარემოზე, რომელიც აჟღერებს მსაგავსი სახის ინფორმაციას.

ანტი-მიგრანტული განწყობა, როგორც აღვნიშნეთ ხშირ შემთხვევაში გამოხატულია „სიძულვილის ენით“. სტატისტიკური მონაცემების თანახმად მედია საშუალებებით ჯამში სულ 246 კომენტარი გაკეთდა, რომლის ყველაზე დიდი ნაწილი 61 ანტი-მიგრანტულ განწყობაზე მოდის. (კინწურაშვილი, 2017, გვ. 23). მსაგავსი განცხადებები ძირითადად გვხვდება ბეჭდურ და სატელევიზიო მედიაში. ასევე მედია საშუალებებში ხშირია ისეთი რესპოდენტების შერჩევა, რომელთა განცხადებებებში იკვეთება რასისტული და ქსენოფობიური განწყობა.

„ასავალ-დასავალი“ ერთ-ერთია ბეჭდური მედიიდან, რომელიც მკითხველს სთავაზობს მიგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებს. ხშირ შემთხვევაში საგაზეთო სტატიები გადაუმოწმებელია და შეიცავს არაზუსტ ინფორმაციას (მითების დედექტორი, 2016). ეს კი იძლევა მანიპულაციის საშუალებას და საზოგადოებისთვის საკითხის არაზუსტ მიწოდებას, რაც იწვევს მიგრანტების პრობლემის არასწორ შეფასებას. ინფორმაციის გაშუქებისას ჟურნალისტები ხშირ შემთხვევაში გვერდს უვლიან საერთაშორისო სტანდარტებს და არღვევენ ჟურნალისტური ეთიკის ქარტიას. ამას მოწმობს ასავალ-დასავალში დაფიქსირებული მოსაზრება „ჰოდა, თუ თვით ევროკავშირის წევრები არ ეპუებიან ამ დამანგრეველ საიმიგრაციო პოლიტიკას, ჩვენ ვისი ტიკიტომარები ვართ, რომ ასე ფართოდ გავუღეთ კარი ყველა ჯურის ძალსა და ღორს?!“ (კინწურაშვილი, 2017, გვ. 23). მსაგავსი სახის განცხადებები და მისი გავრცელება კი იწვევს მიგრანტების პრობლემის გაღრმავებას და მათ მიმართ სიძულვილის გაღვივებას.

მსაგავსი სარედაქციო პოლიტიკით გამოირჩევა გაზეთი “ალიაც“, რომელიც ახდენს მიგრანტებისა და კრიმინალის ერთმანეთთან დაკავშირებას. „სამწუხარო რეალობაა ის ფაქტი, რომ გზააღმართი უცხოტომელები დათარეშობენ და დღე არ გავა, არ გავიგოთ ინფორმაცია, რომ არაბმა, ირანელმა, თურქმა გააუპატიურა არასრულწლოვანი გოგონა და თქვენ წარმოიდგინეთ, პატარა ბიჭებზეც ნადირობენ და ძალადობენ“ (კინწურაშვილი, 2017, გვ. 23).

როგორც პოლიტიკური პარტიების შემთხვევაში ასევე მედია სივრცეშიც ერთ-ერთი საკითხი, რომელიც საიმერაციო პოლიტიკას დაუკავშირდა იყო მიწის გასხვისების თემა. გაზეთ რეზონანსში ვკითხულობთ. „რამდენიმე წელიწადში ქართულ მიწებს უცხოელები დაეპატრონებიან!“. (კინწურაშვილი, 2017, გვ. 23).

მიწის საკითხს ეხება გაზეთი „საქართველო და მსოფლიოც“ „განა ის, ვინც ქართულ მიწას ყიდის და საქართველოს მოქალაქეობას ურიგებს მათ, ვინც დედაბუდიანად სამუდამოდ მკვიდრდება საქართველოში, სამშობლოს მოღალატე არ არის?! შაჰ-აბასიც ცდილობდა საქართველოდან ქართველთა გასახლება და უცხოტომელების ჩამოყვანას“ (კინწურაშვილი, 2017, გვ. 23). მსაგავსი რასისტული განცხადებების მთავარ მოტივია იმიგრანტების ქართულ იდენტობასთან შეუთავსებლობის დადგენა.

მიწის საკითხთან დაკავშირებით ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ მედია საშუალებებში საკმაოდ რადიკალურად არის წარმოჩენილი ეს საკითხი, რადგან პრობლემა არა მიწის გაყიდვაში, ვგულისხმობთ სასოფლო-სამეურნეო მიწებს, არამედ ეკონომიკურ მდომარეობაშია.

„მიწის გაყიდვაზე უარის თქმა გამოსავალი არ არის. მთავარია ადგილობრივ მოსახლეობას ჰქონდეს უფრო მეტი შესაძლებლობა და ხელშეწყობა მიწების შეძენისა, მისი გამსხვილებისა და შემდგე ამ მიწაზე ბიზნესი წამოწყების“ *[ინტერვიუ: იაშენგელია, ექსპერტი ასოცირებული პროფესორი]*.

მსაგავსი პოზიციას ავითარებს შრომითი მიგრაციის ექსპერტი ელზა ჯგერენაიაც, რომელიც მიიჩნევს, რომ მედია სივრცე ისე როგორც პოლიტიკური პარტიები და

ანტი-მიგრანტული ჯგუფები ერთგვარად მანიპულაციის საშუალებად იყენებენ ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ მდომარეობას. ამის მაგალითად მას სწორედ მიწის მაგალითი მოჰყავს. მისი აზრით ქვეყანაში სოციალური და ეკონომიკური მდომარეობა, რომელიც შედარებით არასახარბიელოა ქმნის იმის საშუალებას, რომ ეს საკითხი გახდეს მანიპულაციის საშუალება და დაუკავშირდეს იმიგრანტების რაოდენობას. აღსანიშნავია, რომ მედია სივრცეში ეს და სხვა საკითხები მხოლოდ ცალხმრივად არის გაჟღერებული და არ ხდება იმაზე საუბარი თუ რა სარგებლობა შეიძლება ჰქონდეს ადგილობრივ მოსახლეობას სასოფლო-სამეურნეო მიწების გაყიდვის შემთხვევაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფომ შეზღუდა სასოფლო-სამეურნეო მიწების გასხვისება უცხოელებზე, რაც ექსპერტთა პოზიციით ცალსახად საზოგადოებრივი განწყობის დამსახურებაა, თუმცა აქ ყურადღება არ გამახვილებულა იმ დივიდენტებზე, რომელიც შეიძლება მიიღოს ადგილობრივმა მოსახლეობამ, რაშიც სახელმწიფოს მიერ კომუნიკაციის ნაკლებობა ჩანს.

„არაბების მიერ არის ძალიან ბევრი სასოფლო-სამეურნეო მიწები შესყიდული მაგალითისთვის ტაბახმელას მიმართულებით და საკმაოდ კარგი შედეგები აჩვენეს. განაშენიანეს და განავითარეს მიმდებარე ტერიტორია. თუ ინვესტორს აქვს შესაძლებლობა, რომ უკეთ მართოს ის მიწა, რომელსაც ვერ იყენებს ადგილობრივი, რადგან მას შესაძლებელია არ ქონდეს ფინანსური, ინტელექტუალური და ადამიანური რესურსი ვფიქრობ, რომ ამ მიწის გამოყენება ქვეყნის კეთილდღეობისთვის უკეთესი იქნება, კეთილდღეობა მოაქვს დასაქმებას, მაგრამ გაღიზინებას იწვევს ის ფაქტი, რომ ამ შესყიდულ მიწებზე შედრებით ნაკლები ადგილობრივი მოსახლეა დასაქმებული, თავდაპირველი მოტივი უფრო ეკონომიკურია, რაც შემდომში აყალიბებს საზოგადოებრივ აზრს და ამას კარგად იყენებს მედია საშუალება და ხშირად საზოგადოებრივ აზრს რადაკალურად წარმოგვიდგენს“ *[ინტერვიუ: ელზე ჯგერენაია, ექსპერტი შრომითი მიგრაციის კუთხით]*.

რაც შეეხება სატელევიზო მედია საშუალებებს ძირითადი აქტორი აქ მედიაკავშირი ობიექტია, რომლის სატელევიზო გადაცემა „ღამის სტუდია“, ხშირდაა ყურადღება გამახვილებული იმიგრანტების რიცხვის ზრდაზე, სატელევიზო ეთერში ეს

საკითხი წარმოდგენილია როგორც საფრთხის შემქმნელი მოვლენა. (კინწურაშვილი, 2017, გვ. 23).

აღნიშნულიდან გამომდინარე ქართული ტრადიციული მედიის გარკვეული ნაწილისთვის უცხო არაა ანტი-მიგრანტული განწყობა და მისი გამოხატვა სიძულვილის ენით, რომელიც ემყარება ქსენოფობიასა და რასისზმს. ეს ყოველივე კი იძლევა მანიპულრების საშუალებას, რაც შემდგომში აყალიბებს საზოგადოებრივ განწყობას.

ტრადიციულ მედია საშუალებთან ერთად მნიშვნელოვანია განვიხილოთ სოციალურ ქსელში მოქმედი რამოდენიმე მედია გვერდი, რომელიც აქტიურად აჟღერებს ანტი-მიგრანტულ განწყობას და ამას ხშირ შემთხვევაში დეზინფორმაციის მეშვეობით აკეთებს. ნაშრომში წარმოდგენილია ის სოციალური გვერდები, რომლებიც ყველაზე ხშირად იყენებენ მსაგავსი სახის რიტორიკას. აქედან გამომდინარე საკვლევი თემის უფრო მეტად სიღმისეული შესწავლაა საჭირო, რაც შეზღუდული რესურსების გათვალისწინებით ვერ მოხერხდა.

მსგავსი სოციალური გვერდები პოპულარალობით სარგებლობს და მათ ბევრი მნახველი ჰყავს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რამოდენიმე სოციალურმა გვერდმა, რომელიც სოციალურ ქსელ „Facebook“-ზე გვხვდებოდა არსებობა შეწყვიტა, მიუხედავად ამისა კარგი იქნება თუ თვალს გადავალვით მათ.

სოციალური გვერდი „ეროვნული ძალა“ პოპულარიზებას უწევდა ანტი-მიგრაციულ პოლიტიკას. 2018 წლის დეკემბერში გვერდი წერდა, რომ მულტიკულტურალიზმი ანადგურებს ევროპასა და საქართველოს.

„ქართული იდეა“, რომელიც ასევე წარმოადგენდა ულტრანაციონალისტურ გვერდს, აქცენტს აკეთებდა მიგრანტებსა და სექსუალურ უმცირესობაზე და მათ ეროვნული იდენტობისთვის საფრთხეთ წარმოადგენდა. (პიჩიკიანი, 2018).

„Facebook“ გვერდი „Made in Georgia“ და ვებ გვერდი „vanoggg.ge, ასევე წარმოადგენდნენ ულტრანაციონალისტურ გვერდებს. მსგავსი სახის სტატიები, როგორცაა „ირანიდან მილიონობით მიგრანტთა ნაკადი მოემართება საქართველოში“

(ბოლქვაძე, 2019). მოქმედებს ადგილობრივ მოსახლეობაზე და იწვევს მტრულ დამოკიდებულებას იმიგრანტების მიმართ.

Facebook გვერდი „წინააღმდეგობა მომავლისთვის“ მიეკუთვნება ნახსენებ სოციალურ გვერდებს, რომელიც მანიპულაციით ცდილობს საზოგადოებაში ანტი-მიგრანტული განწყობის გავრცელებას. ვიდეო სათაურით „ჯუნგლები თბილის მეტროში“ ერთ-ერთი გამოხატულებაა მსგავსი მანიპულაციების. (გელაშვილი, 2017)

სოციალურ გვერდებთან ერთად გვხვდება ვებ გვერდებიც, სადაც ყურადღება გამახვილებულია მიგრანტების რიცხვზე და გაკრიტიკებულია ქვეყნის საიმიგრაციო კანონი. ამის მაგალიათია „სპუტნიკ საქართველოს“ გვერდზე გამოქვეყნებული კომენტარი, რომელიც ეკუთვნის რუსს პოლიტოლოგ კარინე გევორგიანს, რომლის განცხადებითაც „საქართველოში ისლამური ტერორიზმი და მიგრანტთა შემოდინება უფრო აწუხებთ, ვიდრე არჩევნები“ რაც ასევე არ შეესაბამისება რეალობას. (რაფავა, & გელავა, 2018).

მედიის შესახებ საუბრისას ექსპერტებთან გამოიკვეთა მთავარი პრობლემა, რომელიც უკავშირდება სახელმწიფოს კომუნიკაციას მოქალაქეებთან, რაც იწვევს იმას რომ მსგავსი მედია საშუალებების გავლენა იზრდება და მათ შესაძლებლობა აქვთ გავლენა მოახდინონ საზოგადოებრივ აზრზე.

„აუცილებელია სახელმწიფომ გააკეთოს სწორი აქცენტები, სახელმწიფოს უნდა ქონდეს გავლენა მსგავსი სახის ჯგუფებზე, რომლებიც იყენებენ-ანტი მიგრანტულ განწყობას. უშუალოდ თუ არა ზოგადად მედიის მეშვეობით შევიდეს დებატში და მიაწოდოს საზოგადოებას სწორი ინფორმაცია, სახელმწიფომ ნათლად უნდა განუმარტოს საზოგადოებას, რომ მსგავსი საიმიგრაციო პოლიტიკა, რომელიც ქვეყანას აქვს არ ნიშნავს იმას, რომ საქართველო გახდა ყველა უცხოელისთვის ღია და დაახლოებით ორმოცდაათი წლის მერე საქართველოში ქართველი აღარ დარჩება“
[ინტერვიუ: მარკ ჰულსტი, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ხელმძღვანელი].

ექსპერტები ასევე საუბრობენ იმის შესახებაც, რომ მსგავსი სახის მედია საშუალები აქცენტს აკეთებენ საზოგადოების შედარებით უფრო კონსერვატორულ

ნაწილზე. ინტერვიუების დროს ასევე გამოიკვეთა პოზიცია, რომ საერთო ჯამში მედიამ, ანტი-მიგრანტულმა ჯგუფებმა და პოლიტიკურმა პარტიებმა, მნიშვნელოვნად შეცვალეს საზოგადოებრივი აზრი იმიგრანტთა მიმართ, თუმცა ეს არ არის ისეთი მასშტაბის, რომ ამან მნიშვნელოვნად განაპირობოს საიმეორაციო პოლიტიკის ცვლილება. მიუხედავად ამისა სახელმწიფო პოლიტიკა და ანტი-მიგრანტული განწყობის მქონე ჯგუფების ინტერესები ერთგვარად თანხვედრაშია, მაგრამ ეს მხოლოდ ნაწილობრივ კავშირად შეიძლება იყოს განხილული. ექსპერტებთან ინტერვიუების დროს ასევე გამოიკვეთა ტენდენცია, რომ ბოლო დროს შედარებით მომატებულია ადგილობრივებში ანტი-მიგრანტული განწყობა, რასაც თავის მხრივ განაპირობებს სწორედ ერთიან სივრცეში არსებული მედია, პოლიტიკური პარტიები და საზოგადოებრივი ჯგუფები, რომლებიც ცდილობენ პატრიოტულ მოტივებზე მანიპულირებით მოახდინონ საკითხის უსაფრთხოების ჭრილში გადატანა.

როგორც განხილული საკითხებიდან ჩანს საქართველოში მოქმედი სხვადასხვა სახის მედიის გარკვეული ჯგუფი და მასთან ერთად პოლიტიკური პარტიები და დაინტერესებული ჯგუფები ცდილობენ ჩამოაყალიბონ მასობრივი საზოგადოებრივი აზრი მიგრანტებთან მიმართებით, რაც როგორც ვნახეთ ემყარება მანიპულაციასა და დეზინფორმაციას. ხდება ტერმინ იმიგრანტის საფრთხედ აღქმა და მისი, როგორც საფრთხის შეფასება, რომელიც საჭიროებს პოლიტიკურ ჭრილში გადატანას და მიგრაციული პოლიტიკის გადახედვას.

სახელმწიფოს მიგრაციული პოლიტიკა ნაშრომის მეორე თავშია განხილული. მეორე თავში წარმოდგენილია ასევე კორელაცია ამ ორ ცვლადს შორის, რომელიც შესაძლებლობას იძლევა ავხსნათ ურთიერთმიმართება ანტი-მიგრანტულ განწყობასა და ქვეყნის მიგრაციულ პოლიტიკას შორის.

თავი II: საემიგრაციო პოლიტიკა (საქართველოს მაგალითი)

ნაშრომის მეორე თავში განხილულია საქართველოს საემიგრაციო პოლიტიკა და მისი ცვლილება საკანონმდებლო დონეზე, თუ როგორ იცვლებოდა საემიგრაციო კანონი ანტი-მიგრანტული განწყობის პარალელურად. მეორე თავში შევხებით საკანონმდებლო ინიციატივებს, რომელიც შეეხებოდა მიგრაციულ პოლიტიკას და შევეცდებით დავადგინოთ კორელაცია ანტი-მიგრანტულ განწყობასა და მიგრაციულ პოლიტიკას შორის. გავეცნობით მმართველი ხელისუფლების წარმომადგენლების მოსაზრებებს და ინიციატივებს ქვეყნის მიგრაციული პოლიტიკის შესახებ და შევისწავლით სახელმწიფოს ოფიციალურ დოკუმენტებს, საქართველოში მყოფ უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივ მდომარეობას. მეორე თავში ასევე განვიხილავთ საკანონმდებლო დონეზე დაანონსებულ ცვლილებებს, რომელიც შეეხება საქართველოს მიგრაციულ პოლიტიკას და მოქმედი კანონის ინპლემენტაციას, რომელიც გვაძლევს საშუალებას კანონის ცვლილება შევისწავლოთ მისი მოქმედების შესაბამისად.

2.1 საქართველოს საემიგრაციო პოლიტიკა 2005-2013 წლებში

საქართველოში 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდგომ პერიოდში გატარდა რიგი რეფორმები, რამაც ხელი შეუწყო დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებასა და გაძლიერებას. შეიცვალა პოლიტიკური და ეკონომიკური გარემო, გამარტივდა კანონმდებლობა, რამაც თავის მხრივ განაპირობა ქვეყნის სწრაფი განვითარება და ეკონომიკური დაწინაურება. გამარტივებულმა და დახვეწილმა კანონმდებლობამ მიმზიდველი გახადა ქვეყანა ინსვესტორთათვის, რამაც განაპირობა ქვეყნის ეკონომიკური ზრდა. 2005 წლიდან 2007 წლამდე საქართველოს ეკონომიკური ზრდა მერყეობდა 9.6% დან - 12.6%-მდე. (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2019). რაშიც დიდი წვლილი შეჰქონდა ტურიზმსა და პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს. ქვეყანაში

არსებულმა ლიბერალურმა და მარტივმა კანონმდებლობამ საშუალება მისცა უცხოელ ინვესტორებს საქართველოში დაეწყოთ ბიზნესი. ამას ხელი შეუწყო 2005 წელს მიღებულმა უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდომარეობის შესახებ საქართველოს კანონმა.

კანონი არეგულირებდა საქართველოში: შემოსვლას, ყოფნას, სატრანზიტო გავლასა და ქვეყნის დატოვებას. საქართველოში ყოფნის ნებართვის სახეები იმდროინდელი კანონის შესაბამისად მოიცავდა: 1) საქართველოს ვიზას, რომლის მიღების შემთხვევაში უცხოელ მოქალაქეებს შესაძლებლობა ჰქონდათ 360 დღის განმავლობაში დარჩენილიყვნენ ქვეყანაში. საქართველოში შემოსასვლელად ვიზა არ სჭირდებოდა ევროკავშირის წევრი და სხვა სახელმწიფოების მოქალაქეებს ვისთანაც საქართველოს აკავშირდებდა სავიზო შეთანხმება. დაყოფილი იყო ვიზის კატეგორიებიც, რომელიც მოიცავდა დიპლომატიურ, სამსახურებრივ, ორდინალურ და სასწავლო ვიზებს. (საქართველოს კანონი უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ, 2005, გვ. 11). 2) ბინადრობის ნებართვა, რომელიც შესაძლებლობას იძლეოდა უცხო ქვეყნის მოქალაქეს მარტივად მიეღო საქართველოში ცხოვრების უფლება დროებით ან მუდმივად და ჩართულიყო ეკონომიკურ საქმიანობაში, 2005 წლის კანონის შესაბამისად საქართველოში დროებითი ბინადრობის მიღების კანონიერი საფუძველი იყო საქართველოს ტერიტორიაზე შრომითი საქმიანობის განხორციელება, სამკურნალო, სასწავლო ან სახელმწიფო ინტერესების მიზნით და სხვა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებში 6 წლის ვადით. რაც შეეხება საქართველოში მუდმივი ბინადრობის სამართლებრივ საფუძველებს, კანონის მიხედვით მუდმივი ბინადრობა გაიცემოდა პირზე, რომელიც ბოლო 6 წლის განმავლობაში ცხოვრობდა საქართველოში. კანონის მიხედვით ამ ვადაში არ ითვლება სწავლის ან სამკურნალო მიზნით ქვეყანაში ყოფნა, ასევე დიპლომატიურ ან მასთან გათანაბრებულ უწყებაში მუშაობის პერიოდი. მნიშვნელოვანია ასევე გავეცნოთ იმ დამატებით მოთხოვნებს, რომელიც იმდროინდელ კანონმდებლობაში იყო გათვალისწინებული. უცხო ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, შესაძლებლობა ჰქონდა საქართველოში მუდმივი ბინადრობის უფლება მოეპოვებინა თუ მის სახელზე საქართველოში რეგისტრირებული იყო საკუთრების უფლებით

არანაკლებ 100 000 ლარის ღირებულების უძრავი ქონება ან საქართველოს საბანკო დაწესებულებაში განთავსებული ჰქონდა ამავე თანხა. ამავე ოდენობის თანხის ინვესტიციის შემთხვევაშიც კანონით გარანტირებული იყო ბინადრობის მოწმობის მიღება. პირები რომლებიც დააკმაყოფილებდნენ აღნიშნულ მოთხოვნებს უფლება ჰქონდათ საქართველოში საკუთარი ოჯახის წევრებისთვისაც მიეღოთ ბინადრობის უფლება. 3) მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის დადგენა. (საქართველოს კანონი უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ, 2005).

აღსანიშნავია ასევე საქართველოს ორგანული „კანონი საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“, რომელიც მიღებული იქნა 1993 წელს და მოქმედებდა 2014 წლამდე. ამ დროის განმავლობაში კანონში შევიდა ათობით ცვლილება, რომელმაც მნიშვნელოვნად გაამარტივა საქართველოს მოქალაქეობის მიღება.

საქართველოს მოქალაქეობის შესახებ კონსოლიდირებული ვერსიში, რომელიც ძალადაკარგულად გამოცხადა 2014 წელს გვხვდება ის ნორმატივები, რომელიც უნდა დაეკმაყოფილებინა მოქალაქეობის მამიებლებელს. საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით “საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ მოქალაქეობის მიღება შესაძლებელი იყო : 1) დაბადებით 2) საქართველოს მოქალაქეობის მიღებით (ნატურალიზაციით) და 3) საქართველო საერთაშორისო ხელშეკრულებებით და კანონით გათვალისწინებული საფუძვლების შედეგად. აღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენი ინტერესის ობიექტს წარმოადგენს საქართველოს მოქალაქეობის მიღება ნატურალიზაციის მეშვეობით. აქვე მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება ეკუთვნის საქართველოს პრეზიდენტის პრეროგატივას.

საქართველოს მოქალაქეობის მიღების სამართლებრივი საფუძველია საქართველოს ტერიტორიაზე უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში ცხოვრება, სახელმწიფო ენის ცოდნა, კანონმდებლობის ფარგლებში საქართველოს ისტორიისა და სამართლის ძირითადი საფუძვლების ცოდნა, საქართველოს ტერიტორიაზე სამუშაო ადგილის ან უძრავი ქონების ფლობა და სხვა საკანონმდებლო საფუძველები. (საქართველოს ორგანული კანონი : საქართველოს მოქალაქეობის შესახებ, 1993, გვ. 1-4).

ამ კანონის შესაბამისად 2014 წლამდე ხდებოდა საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება. აქედან გამომდინარე თვალაჩინოების მიზნით მნიშვნელოვანია გავეცნოთ სტატისტიკურ მონაცემებს, რომელიც მოგვცემს საშუალებას განვიხილოთ საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად მიღებული შედეგები.

როგორც ვხედავთ 2005 წლის კანონმდებლობით საქართველოში შემოსვლა, ბინადრობის მოწმობის მოპოვება და ქვეყნის სოციო-ეკონომიკურ ურთიერთობაში ჩართვა საკმაოდ მარტივი პროცესი იყო. საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქეობის ან მოქალაქეობის არმქონე პირების შესახებ ინფორმაცია შეგვიძლია წარმოვადგინოთ სხვადასხვა მაჩვენებლით: როგორცაა ლტოლვილის სტატუსის მინიჭება, საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება და ბინადრობის ნებართვის გაცემის სტატისტიკა.

საქართველოში საერთო ჯამში 2005 წლიდან 2013 წლამდე ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე განაცხადი გააკეთა 1591-მა პირმა სადანაც დაკმაყოფილდა 139 მოთხოვნა. ყველაზე მეტი მოთხოვნა და შესაბამისად მოთხოვნის დაკმაყოფილება ფიქსირდება 2012-2013 წლებში, რომლის მიხედვითაც 2012-2013 წლებში ლტოლვილის სტატუსის მოპოვებას ცდილობდა 1336 ადამიანი სადანაც დაკმაყოფილდა 75 ადამიანის მოთხოვნა. განაცხადების უმეტესობა მოდიოდა ერაყსა და ეგვიპტეზე 921 და 102.

რაც შეეხება მოქალაქეობის მინიჭების რიცხოვრივ მაჩვენებელს 2005 წლიდან 2013 წლამდე საქართველოს მოქალაქეობა მიიღო 53 067 ადამიანმა. 2013 წელს დაფიქსირდა საქართველოს მოქალაქეობის მიღების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - 9 626 შემთხვევა.

საქართველოში ბინადრობის გაცემის მაჩვენებელი კი 2005-2013 წლებში შემდეგია, სულ გაიცა 40 100 ადამიანზე ბინადრობის უფლება, საიდანაც 8 791 შემთხვევაში ბინადრობის მოწმობა გაიცა მუდმივად, ხოლო 31 309 შემთხვევაში დროებით. ყველაზე მეტი მუდმივი ბინადრობის ნებართვა გაიცა 2010 წელს, ხოლო დროებითი 2012 წელს. (ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, 2014). როგორც რაოდენობრივი მონაცემებიდან ჩანს გამარტივებულმა და ლიბერალურმა საემიგრაციო პოლიტიკამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საქართველოში იმიგრანტების მაჩვენებელის ზრდას, რომლებიც სოციო-ეკონომიკურ ცხოვრებაში

ჩაერთვნენ. ამ მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყველაზე მეტი იმიგრანტი საქართველოში 2010-2013 წლებში ფიქსირდება, რის საფუძველზეც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამან ქვეყანაში ხელი შეუწყო ანტი-მიგრანტულ განწყობის გაზრდას და მოხდა მიგრანტების რიცხვის საფრთხეთ აღქმა, რამაც თავის მხრივ პოლიტიკურ დონეზე წარმოშვა აუცილებლობა კანონმდებლობის ცვლილებისა, რომელსაც შემდეგ ქვეთავში განვიხილავთ.

2005 წლის საიმიგრაციო კანონის შესახებ, რომელიც არეგულირებდა უცხოელთა და მოქალაქეობის არმოქმე პირთა უფლებებსა და მოვალეობებს ექსპერტთა შეფასებით იმდროინდელი კანონი შედარებით უფრო მარტივი და ლიბერალური იყო, რაც მათი აზრით განპირობებული იყო იმდროინდელი ეკონომიკური გამოწვევებით. საქართველო ამ კანონით ცდილობდა ერთის მხრივ შეექმნა პრეცედენტი საკანონმდებლო დონეზე და მოეგვარებინა საიმიგრაციო საკითხები და მეორეს მხრივ ამგვარი კანონის მიღებით ქვეყანაში ინვესტიციების მიღება შედარებით უფრო გაეადვილებინა, რაც ქმნიდა იმის საშუალებას, რომ ქვეყანა ეკონომიკუარად სწრაფად დაწინაურებულიყო. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ 2005 წლის საიმიგრაციო კანონი ცალსახად უკავშირდებოდა ეკონომიკურ მდგომარეობასა და საქართველოს ცნობადობის გაზრდას, როგორც ერთ-ერთი იმ ქვეყნისა სადაც შესაძლებელი იყო ინვესტორთათვის მოსახერხებელი და ხელსაყრელი პირობების შექმნა.

როგორც ექსპერტი ია შენგელია განმარტავს „ 2005 წლის კანონმდებლობა და მასზე დამყარებული საიმიგრაციო პოლიტიკა, ძლიერ ლიბერალური იყო, რაც ცხადია, დადებითად ვერ შეფასდებოდა, თუმცა ეს იმით იყო გამოწვეული, რომ გაზრდილიყო საქართველოს ცნობადობა საერთაშორისო დონეზე, შესაძლოა მიგრაციული პოლიტიკა იყოს ლიბერალური, მაგრამ ამასთან ერთად ქვეყანამ უნდა შეძლოს ეროვნული უსაფრთხოების დაცვა“ *[ინტერვიუ: ია შენგელია ექსპერტი, ასოცირებული პროფესორი].*

მსგავს პოზიციას ავითარებს ექსპერტი შრომითი მიგრაციის კუთხით ელზა ჯგერენაიაც. 2005 წლის კანონმდებლობამ ხელი შეუწყო საქართველოს ცნობადობის გაზრდას საერთაშორისო დონეზე, რამაც ქვეყანას მისცა საშუალება გამხდარიყო

მიმზიდველი. ამ პერიოდში გაიზარდა პირდაპირი ინვესტიციების პროცენტული მაჩვენებელი, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სახელმწიფოს არ ქონდა შემუშავებული სწორი პოლიტიკა. არ ხდებოდა კვალიფიციური უცხოელების გამოყენება ადგილობრივი მუშახელის სწავლებაში, რამაც საბოლოო ჯამში გამოიწვია ადგილობრივი მოსახლეობის არაკონკურენტულობა უცხოელებთან შედარებით, რამაც გამოიწვია უკმაყოფილება ადგილობრივებში, რადგან მაღალშემოსავლიანი საქმიანობა მოითხოვდა კვალიფიკაციისა და ცოდნის მაღალ დონეს, რომელზე დაყრდნობითაც ადგილობრივი მოსახლეობა კონკურენციას ვერ უწევდა უცხოელებს და მათ რჩებოდათ განცდა, რომელშიც ჩანდა სამუშაო ადგილების დაკარგვის შიში.

ეკონომიკურ ფაქტორებთან ერთად ეროვნულ უსაფრთხოებაზე ყურადღებას ამახვილებს მარკ ჰულსტი, რომელიც მიიჩნევს, რომ იმდროინდელი კანონმდებლობა იმდენად მარტივი და არარეგულირებადი იყო, რომ ნებისმიერ ადამიანს შეეძლო გადმოელახა საქართველო და შემდეგ მარტივად გადასულიყო ევროპაში და არაკეთილსინდისიერად გამოეყენებინა მსგავსი ლიბერალური კანონმდებლობა. ნაკლებად იყო შესწავლილი თუ ვინ შემოდიოდა ქვეყანაში და რა საქმიანობას აპირებდა ეს კი ეროვნულ უსაფრთხოებას უქმნიდა საფრთხეს.

აქედან გამომდინარე შეგვიძლია დასკვნის სახით ვთქვათ, რომ 2005 წლის საქართველოს კანონი უცხოელებისა და მოქალაქეობის არმქონე პირების უფლება-მოვალეობების შესახებ შედარებით მარტივი და უფრო მეტად ლიბერალური იყო კანონის შემდგომ რედაქციებთან მიმართებით, რაც გამოწვეული იყო იმდროინდელი ხელისუფლების პოლიტიკური კურსით, რომელიც უპირველეს ამოცანად ეკონომიკის გაჯანსაღებას მიიჩნევდა და თვლიდა რომ მსგავსი ლიბერალურ კანონმდებლობას ამ მხრივ დადებითი უფრო ჰქონდა ვიდრე უარყოფითი. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ექსპეტების აზრით მსგავსი სახის კანონმდებლობა თავის თავში საფრთხის მატარებელია, რომელიც ეროვნული უსაფრთხოების საკითხს მიუკუთვნება, რაც გამოიხატება როგორც ადგილობრივებსა და იმიგრანტების დაპირისპირებაში, ასევე მსგავსი კანონი და საიმიგრაციო პოლიტიკა საფრთხის მომტანი იყო ქვეყნის საერთაშორისო იმიჯისთვისაც. იმდროინდელი საიმიგრაციო პოლიტიკა შესაძლებლობას იძლეოდა ქვეყანაში შემოსული უცხოელები

ტრანზიტული გზით გადასულიყვნენ ევროპაში და იქ კრიმინალურ საქმიანობაში ჩართულიყვნენ.

აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ საჭირო გახდა კანონმდებლობის ცვლილება, რაზეც მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა ქვეყანაში შემოსული იმიგრანტების მიმართ არსებული საზოგადოებრივი განწყობა და ეროვნული უსაფრთხოების საკითხი, რაშიც მოვიზარებთ ქვეყნის იმიჯს საერთაშორისო დონეზე.

2.2 საქართველოს საემიგრაციო პოლიტიკა და პოლიტიკური დისკურსი 2014- 2017 წლებში

საქართველოში საემიგრაციო კანონის ცვლილება და შედარებით გამკაცრება 2014 წლიდან იწყება, როდესაც შემუშავდა ახალი კანონი საქართველოში უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ. აღნიშნული ცვლილებები ერთის მხრივ განპირობებული იყო ქვეყანაში არსებული საემიგრაციო პოლიტიკის შედეგად წარმოშობილი ანტი-მიგრანტული განწყობით, რომელიც ბოლო წლებთან შედარებით საკმაოდ დაბალი ინტენსიობით ხასიათდებოდა და ასევე მეორეს მხრივ საქართველოსა და ევროკავშირს შორის ვიზალიბერალიზაციის ხელშეკრულების გათვალისწინებით, რომლის მიხედვითაც ქართული კანონმდებლობა მაქსიმალურად უნდა ყოფილიყო თანხვედრაში ევროკავშირის კანონმდებლობასთან. როგორც იმდროინდელი მმართველი ხელისუფლების პრემიერ მინისტრი აცხადებდა.

"ევროკავშირის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა იყო, რომ ქვეყნის საემიგრაციო პოლიტიკა ყოფილიყო მოწესრიგებული. საემიგრაციო პოლიტიკა უნდა იყოს დარეგულირებული და ამასთან დაკავშირებით უნდა არსებობდეს შესაბამისი კანონი. ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ფარგლებში, ჩვენ დავიწყეთ ამ საკითხზე მუშაობა. მე ხაზს ვუსვამ, რომ ეს იყო ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ფარგლებში დასახული ღონისძიებები, რაც წარმატებით შევასრულეთ“ (ღარიბაშვილი, 2014)

მნიშვნელოვანია ასევე საქართველოს მმართველი ხელისუფლების უმრავლესობის წევრის განცხადებაც, რომელიც ყურადღებას ამახვილებს საფრთხეებზე, რომელიც შესაძლოა მოჰყვეს საემიგრაციო კანონმდებლობის ძველ რედაქციას.

“შემოდინდნენ სხვა ინტერესების მატარებელი ჯგუფები, რომლებსაც სურვილი ჰქონდათ და ეძებდნენ გარკვეულ გზებს სხვა ქვეყნებში მოსახვედრად... უმუშევარი, არაფრისმქონე რომ შემოდის, ან უნდა მოიპაროს ან უნდა სამუშაო იპოვოს, ე.ი. ჩვენს თანამოქალაქს უნდა წაართვას... .” (სესიაშვილი, 2014).

მსგავს განცხადებებში ერთის მხრივ იკვეთება ევროკავშირთან არსებული ვალდებულება და მეორეს მხრივ ყურადღება მახვილდება საფრთხეებზე, რომელიც შეიძლება მიგრანტების გაზრდილ რაოდენობას მოჰყვეს. აქედან გამომდინარე პოლიტიკის დღის წესრიგში დადგა კანონმდებლობის ცვლილება, რომელიც ახალი რედაქციით მიიღეს 2014 წლის მარტში და ძალაში შევიდა იმავე წლის სექტემბერში.

ახალი კანონი უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ მნიშვნელოვნად ცვლიდა ქვეყნის საემიგრაციო პოლიტიკას, რომელიც წინა კანონთან შედარებით უფრო მკაცრი და გართულებული იყო.

მნიშვნელოვანი ცვლილები განიცადა საქართველოში შემოსვლისა და ყოფნის საფუძვლებმა. შეიცვალა ვიზის გაცემის პროცედურები და შემცირდა ქვეყანაში უვიზოდ ყოფნის ვადა, 360 დღის ნაცვლად, 180-დღიან პერიოდში 90 დღით. ამასთან ერთად 117-დან 104-მდე შემცირდა იმ ქვეყნების რიცხვი, რომლის მოქალაქეებსაც შეეძლოთ უვიზოდ შემოსვლა ქვეყანაში. შეიცვალა და შედარებით გართულდა ვიზების კატეგორია რომლის მიხედვითაც ვიზები დაიყო ხუთ კატეგორიად. შეიცვალა და გამკაცრდა ბინადრობის მიღების წესიც, რომლის მიხედვითაც ბინადრობის სახეებში მოიაზრება შრომითი ან სამეწარმეო ბინადრობის ნებართვა, სასწავლო ბინადრობის ნებართვა, ბინადრობის ნებართვა ოჯახის გაერთიანების მიზნით და კანონით გათვალისწინებული ბინადრობის სხვა სახეები. შეცვლილი კანონის მიხედვით საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივი ბინადრობის ნებართვა გაიცემა პირზე, რომელმაც საქართველოში იცხოვრა ბოლო 6 წლის განმავლობაში ან არის საქართველოს მოქალაქის მეუღლე, მშობელი ან შვილი. რაც შეეხება საინვესტიციო ბინადრობის

მოწმობას, ამ საკითხთან მიმართებით კანონში შევიდა შეცვლილი რეგულაციები, რომლის მიხედვითაც გაზრდილია საინვესტიციო მოთხოვნები და ის შეადგენს 300 000 ლარს, ასევე გამკაცრებულია მოკლევადიან ბინადრობის მოწმობის მოთხოვნის წესი, რომლის მიხედვითაც პირს, რომელსაც სურს მიიღოს დროებითი ბინადრობის მოწმობა უნდა ფლობდეს 35 000 აშშ დოლარის ღირებულების ეკვივალენტის ლარში არსებულ უძრავ ქონებას. (საქართველოს კანონი უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ, 2014, გვ. 5-15).

როგორც ვხედავთ ძირითადი ცვლილებები კანონმდებლობაში შესულია ბინადრობის გაცემის, ვიზის მიღების და უვიზოდ ქვეყანაში შემოსვლის წესში. რამაც შედარებით უფრო გაამკაცრა საიმიგრაციო კანონი და შეზღუდა ქვეყანაში შემოსული მიგრანტების რიცხვი. აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია გავეცნოთ იმ სტატისტიკურ მაჩვენებლებს, რომელიც 2014 წლის გამკაცრებული საიმიგრაციო პოლიტიკის შემდეგ ფიქსირდებოდა ქვეყანაში, რის შემდომაც განვიხილავთ პოლიტიკურ დისკურსს არსებულ საკითხზე და შევეცდებით ავხსნათ კანონის გამკაცრების მიზეზები.

2015 წლის მონაცემებით საქართველოში 41 633 უცხო ქვეყნის მოქალაქე დაფიქსირებული, რაც შეეხება 2016 წლის მონაცემებს, ქვეყანაში ფიქსირდებოდა 90 228 პირის შემოსვლა, რომლიდანაც უცხო ქვეყნის მოქალაქე 43 471 პირი იყო. (მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია-მიგრაციის პროფილი, 2017.). აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამავე წლებში ბინადრობის ნებართვა ყველაზე მეტად გაიცემოდა თურქეთის, ინდოეთისა და ჩინეთის მოქალაქეებზე. რაც შეეხება საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებას ჯამში 2015-16 წლებში ფიქსირდება 2 653 შემთხვევა. (მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია-მიგრაციის პროფილი, 2017.). რაც შეეხება ბინადრობის გაცემას 2015-16 წლებში 46 581 ნებართვა გაცა საიდანაც მუდმივი იყო 8 687 ხოლო მოკლევადიანი 345. როგორც რიცხობრივი მონაცემებიდან ჩანს მიუხედავად გამკაცრებული რეგულაციებისა იმიგრაცია მაინც მაღალი პროცენტით იყო, რამაც შემდეგ წლებში, ვგულისხმობთ 2017 წელს შექმნა ანტი-მიგრანტული განწყობის პროვოცირება, რომელიც შედარებით გაიზარდა და

გამოიხატა ნაციონალისტურ და ულტრამემარჯვენე ჯგუფების მანიფესტაციებში და მოთხოვნებში, რაც შემდგომში საჭიროებდა პოლიტიკურ დღის წესრიგში ასახვას.

კანონის ცვლილებამდე და მის შემდგომ პერიოდშიც საზოგადოებრივ და პოლიტიკურ დისკურსში აღინიშნებოდა ანტი-მიგრანტული განწყობა, რაც გამოხატული იყო მედიის, პოლიტიკური პარტიებისა და სხვა საზოგადოებრივი ჯგუფების მიერ. აქედან გამომდინარე ეს შესაძლებლობას გვაძლევს კანონის გამკაცრება ნაწილობრივ დავუკავშიროთ მსგავს დისკურსს. თვალსაჩინოების მიზნით ნაშრომის ამ თავშიც განვიხილავთ ანტი-მიგრანტული განწყობის გამოვლინებებს.

მედია მონიტორინგის ანგარიშის „სიძულვილისა ენა ქსენოფობია“ მიხედვით 2014-2015 წელში გამოვლინდა 436 ქსენოფობიური შინარასის შემთხვევა, რომლის მთავარი წყაროები იყვნენ მედია (154), საზოგადოების სხვა წარმომადგენლები (145), პოლიტიკური პარტიები (80), სასულიერო პირები (35), ხელისუფლების ყოფილი (17) და მოქმედი წარმომადგენლები (5), ტიპოლოგიის მიხედვით კი მყველაზე მეტ დისკრიმინაციულ განცხადებას თურქობობისა და ისლამოფობიის სახით ვხვდებით (200), რასაც მოსდევს სახვადასხვა ეთნიკური და ეროვნული ჯგუფების მიმართ ფობია (133) (კინწურაშვილი, 2015, გვ. 28-29). ეს კი უკავშირდება ქვეყნში საზოგადოების განწყობას, რომელიც ხასიათდებოდა ანტი-მიგრანტული სენტემენტებით.

კვლევის მიხედვით ყველაზე მეტად ქსენოფობიური განწყობა მოდის ისეთ თემებზე, როგორცაა უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე ქართული მიწის გასხვისება, ასევე ამ განცხადების უმეტესობაში იკვეთება სხვადასხვა ეთნიკური იდენტობის წარმომადგენლების მიუღებლობა და მათი ქართულ იდენტობასთან შეუთავსებლობა, განცხადებებში ყურადღება მახვილდება ასევე აღმოსავლეთის ქვეყნებიდან შემოსულ იმიგრანტებზე, რომელთა ასოცირებაც ხდება კრიმინალთან. კვლევაში ასევე ხაზგასმულია, რომ თურქოფობია და ისლამოფობია ძირითადად უკავშირდება მეჩეთების აშენებასა და თურქეთის საფრთხედ წარმოჩენას, რასაც თან ახლავს ისტორიული კონტექსტის გათვალისწინება, პლუს ამას განცხადებებში ჩანს ეკონომიკური, კულტურული და რელიგიური ნიშნები. კვლევაში ასევე ყურადღება გამახვილებულია საზოგადოებრივ აზრზე, რომელსაც რესპონდენტები სატელეფონო

ჩართვებით ავითარებენ, სადაც ძირითად შემთხვევაში იკვეთება აზრი რომ საქართველო ქართველებს აღარ ეკუთვნით და მას უცხოელები ეპატრონებიან, ტერმინ უცხოელებში ძირითადად მოხსენიებული არიან: ჩინელები, თურქები, ინდოელები და არაბები. (კინწურაშვილი, 2015, გვ.30-35). უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მსგავსი განცხადებების უმეტესობა, საზოგადოებრივი და პოლიტიკური დისკურსი, დროის თვალსაზრისით წინ უსწრებდა კანონის ცვლილებას, რაც გვამღევეს იმის თქმის საშუალებას, რომ საიმიგრაციო კანონმდებლობის გამკაცრება თანხვედრაშია ანტი-მიგრანტულ განწყობასთან, როგორც ერთ-ერთ მოტივატორთან. რა თქმა უნდა, ეს არ გამორიცხავს იმას, რომ კანონის ცვლილებას სხვა მოტივიც ჰქონოდა, როგორც უკვე აღვნიშნეთ მსგავს მოტივაციას ქმნიდა ევროკავშირის კანონმდებლობასთან ქართული კანონმდებლობის თანხვედრა.

ექსპერტული ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა ტენდენცია, რომლის მიხედვითაც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელმაც განაპირობა კანონმდებლობის გადახედვა და მისი შედარებით გამკაცრება იყო ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირება და ვიზალიბრელაზიცია. დღის წესრიგში დადგა მთელი რიგი საკითხების დარეგულირება და ქვეყნის კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირიშის კანონმდებლობასთან, რამაც განაპირობა კანონის ცვლილება. ექსპერტები ადასტურებენ, რომ მთავარი მოტივატორი ქვეყნის იმიჯი იყო, არ უარყოფენ რა საზოგადოებაში არსებულ ანტი-მიგრანტულ განწყობას, ექსპერტები ერთ-ერთ მოტივადორად მასაც მიიჩნევენ, მაგრამ არა მხოლოდ მას.

„მიგრაციის მართვის თვალსაზრისით, საქართველოს არ სურს რომ გახდეს მნიშვნელოვანი სატრანზიტო ქვეყანა არალეგარული მიგრაციის კუთხით ევროპისკენ, რადგან ეს ზიანის მომტანია საქართველოს რეპუტაციისთვის, ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ საქართველო ჩაერთო „რეადმისიის“ პროცესში და აქედან გამომდინარე ვალდებულია შეასრულოს და უზრუნველყოს „რეადმისიის“ დაცვა. ამის გათვალისწინებით მნიშვნელოვანია, რომ იყოს მაღალი სტანდარტის კონტროლი ქვეყანაში შემოსვლაზე და გასვლაზე, საქართველოს არ სურს ზედმეტი თავის ტკივილი. ეკონომიკური და ეთნიკური ფაქტორი ყოველთვის იქნება მაგრამ მე აქ უფრო

პოლიტიკური რეპუტაციის საკითხს ვხედავ“ *[ინტერვიუ: მარკ ჰულსტი, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ხელმძღვანელი]*..

ექსპერტთა ძირითადი ნაწილი უსაფრთხოების მოტივით ხსნის კანონის შედარებით გამკაცრებას, რადგან საქართველოში შემოსვლა და მისი დატოვება უწინ ნაკლებად კონტროლდებოდა, მნიშვნელოვნია ასევე იმის აღნიშვნაც, რომ ექსპერტთა აზრით ევროკავშირის ქვეყნებთან შედარებით საქართველოს მარტივი კანონმდებლობა აქვს და თუ ამ კუთხით ვიმსჯელებთ საიმიგრაციო პოლიტიკა გამკაცრებული არაა. მაგალითისთვის ევროკავშირში ბინადრობის მოწმობის აღება და საინვესტიციო მოწმობის მიღება უფრო რთულია ვიდრე საქართველოში, რაც იწვევს ანტი-მიგრანტული ჯგუფების ჩამოყალიბებას, რომლებიც ეკონომიკური და ეთნიკური არგუმენტებით ცდილობენ პოლიტიკის ცვლილებას, რასაც თან ახლავს სხვა უფრო მყარი არგუმენტებიც.

2.3 საქართველოს საემიგრაციო პოლიტიკა და პოლიტიკური დისკურსი 2019 წელი

განხილული რაოდენობრივი მაჩვენებლებისა და საემიგრაციო კანონის გათვალისწინებით, საქართველოს პოლიტიკურ დღის წესრიგში დადგა საკანონმდებლო ცვლილები, რომელიც დაანონსებულია 2019 წლისთვის, აღნიშნული კანონის ცვლილება, როგორც მმართველი ხელისუფლების წარმომადგენლები განმარტავენ განპირობებულია ეროვნული ინტერესებით.

„ჩვენ მივესალმებით და არაფერი გვაქვს საწინააღმდეგო, უცხო ქვეყნის მოქალაქეები ჩამოვიდნენ საქართველოში, აწარმოონ კანონიერი ეკონომიკური საქმიანობა, მიიღონ განათლება, მაგრამ კანონი და წესი უნდა იყოს ისეთი, როგორიც შესაბამისობაში იქნება ჩვენი ქვეყნის ინტერესებთან“ აღნიშნავს დედაქალიქის მერი და ვიცე პრემიერი. (ქენქაძე, 2018).

აღნიშნული ცვლილების მიხედვით საიმიგრაციო კანონში მკაცრდება რიგი საკითხები. ცვლილებები შეეხება ბინადრობის მოწმობის მოპოვებას, რომლის აღებაც შედარებით რთულდება. რეგულაციების მიხედვით იმისთვის, რომ უცხოელმა ერთწლიანი ბინადრობის მოწმობა აიღოს, უნდა შეიძინოს უძრავი ქონება, რომლის ღირებულებაც აღემატება 100 ათასი დოლარის ექვივალენტს ლარში, ნაცვლად 35 ათასი აშშ დოლარის ექვივალენტისა. ასევე ცვლილებების პაკეტი შეეხო საინვესტიციო ბინადრობის ნებართვის გაცემასაც, რომლის მიხედვითაც ნებართვა გაიცემა უცხოელზე, თუ მან საქართველოში განახორციელა 300 000 აშშ დოლარის ინვესტიცია ნაცვლად 300 000 ლარისა, ახალი კანონით საინვესტიციო ბინადრობის ნებართვის მქონე პირს შესაძლებლობა აქვს მიიღოს მუდმივი ბინადრობის ნებართვა თუ მას 5 წლის განმავლობაში უდასტურდება ყოველწლიურად არანაკლებ 120 ათასი აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში ბრუნვა და ამავე დროს, შენარჩუნებული აქვს 300 ათასი აშშ დოლარის ინვესტირება. რეგულაციები ასევე შეეხება შრომითი ბინადრობის საკითხსაც, რომლის მიხედვითაც ნებართვა გაიცემა პირზე რომელიც დასაქმებულია ისეთ კომპანიაში, რომელსაც აქვს არანაკლებ 50 ათასი ლარის ბრუნვა ერთ დასაქმებულ უცხოელზე. ასევე, განისაზღვრება მინიმალური ანაზღაურება თითოეული დასაქმებულისთვის და თუ შეწყდა შრომითი ურთიერთობა, კომპანიამ აუცილებლად, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს იუსტიციის სამინისტროს იმისთვის, რომ გაუქმდეს შრომის ბინადრობის ნებართვა. (საქართველოს პარლამენტი, 2019)

როგორც ექსპერტი ელზა ჯგერენაია მიიჩნევს „საიმიგრაციო თვალსაზრისით წინ გადადგმული ნაბიჯია მსგავსი ცვლილებები, მაგრამ მთავარი პრობლემა არის იმაში, რომ არ არსებობს ერთიანი ბაზა სადაც შესაძლებელი იქნება ნახვა კომპანიებში დასაქმებულებიდან რა ნაწილია უცხოელი, თუ ეს საკითხი არ დარეგულირდება მაშინ ხარვეზები იქნება კანონის აღსრულებასთან დაკავშირებით“ *[ინტერვიუ: ელზა ჯგერენაია, ექსპერტი შრომითი მიგრაციის კუთხით]*.

რეგულაცია წესდება და მკაცრდება პირის მიერ ქონების გადაცემის საკითხიც, თუ პირმა, რომელმაც მიიღო ერთწლიანი ბინადრობის მოწმობა, გაასხვისა ან გადასცა სხვა პირს თავისი ქონება, კარგავს ბინადრობის მოწმობას. (საქართველოს პარლამენტი, 2019), ეს რეგულაცია განპირობებულია უცხოელების მიერ კანონის

არაკეთილსინდისურად გამოყენების შემთხვევებიდან გამომდინარე, რაც იყო იმის მიზეზი, რომ სხვადასხვა მანიპულაციებით ხდებოდა იმიგრაციის ზრდა, რაც პრობლემას უქმნიდა ქვეყანას, როგორც ეკონომიკური ასევე ეთნიკური თვალსაზრისითაც. ხელისუფლების წარმომადგენლების განმარტებით კანონში ცვლილებების შეტანა გამოწვეულია ქვეყნის ეროვნული ინტერესებიდან გამომდინე. პარლამენტის თავმჯდომარის, განცხადებით.

„მინდა გამოვხმაურო თბილისის მერის, დღევანდელ განცხადებას უცხოელებზე ბინადრობის ნებართვის გაცემის წესის რეგლამენტაციის შესახებ. ეს არის ეროვნული ინტერესების დაცვის თვალსაზრისით, ძალზე მნიშვნელოვანი ინიციატივა, რომელსაც პარლამენტი საშემოდგომო სესიაზე განიხილავს“ (კობახიძე, 2018).

კანონპროექტი უკვე განიხილეს ორი მოსმენით და მას მხარი დაუჭირა პალამენტმა. საინტერესოა უკავშირდება თუ არა კანონის გამკაცრება ქვეყანაში არსებულ ანტი-მიგრანტულ განწყობას? ამ კითხვაზე პასუხის საპოვნელად მნიშვნელოვანია გავეცნოთ საქართველოს საიმიგრაციო მდგომარეობას 2018 წლის მონაცემებით, რომელსაც საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამმართველო აქვეყნებს. იმიგრანტების რიცხოვნობა 5.9 პროცენტით გაიზარდა და 88 152 კაცი შეადგინა. (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2018), რაც შემდეგში გამოხატული იქნა საზოგადოებრივ მოთხოვნაში, რომელიც დასტურდება ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის კვლევით (NDI) რომლის მიხედვითაც მოსახლეობის 56 % თვლის, რომ ქვეყანაში ჩამომსვლელი იმიგრანტების რაოდენობა უნდა შეიზრდოს (NDI-ის კვლევა, 2019). ეს გვაძლევს საშუალებას საიმიგრაცია კანონის გამკაცრება ნაწილობრივ დავუკავშიროთ ქვეყნის მოსახლეობის განწყობას, რომელსაც სურდა საკუთარი დამოკიდებულება იმიგრანტების მიმართ ასახული ყოფილიყო პოლიტიკურ დონეზე. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საიმიგრაციო მდგომარეობა საქართველოში ხშირად იყო პოლიტიკური ოპონენტების დაპირისპირების საგანი, მაგალითისთვის საქართველოს ყოფილი, მესამე პრეზიდენტი თავის მიმართავაში აკრიტიკებს ხელისუფლების მიერ არჩეულ საიმიგრაციო კანონს და აანონსებს მის ცვლილებას, თუ მისი პოლიტიკური ძალა მოიპოვებს ძალაუფლებას. მის

მიმართვაში ყურადღება გამახვილებულია იმიგრანტების შეუთავსებლობაზე ქართულ საზოგადოებასთან, რაც საჭიროს ხდის კანონის გამკაცრებას.

„ზღა შემოდის ხალხი, რომელმაც არც ერთი სიტყვა ქართული არ იცის, რომელიც არც ერთ წარწერას ქართულად არ აკეთებს, რომელიც არ იცნობს ადგილობრივ ტრადიციებს და არც სცემს მათ პატივს...საერთოდ უკონტროლოდ წავიდა მიგრაცია.“ (სააკაშვილი, 2018).

როგორც ვხედავთ მიმართველი ხელისუფლებაც და მათი ოპონენტებიც ყურადღებას ამახვილებდნენ საიმიგრაციო პოლიტიკაზე, რაც იმის მანიშნებელია, რომ საზოგადოების გარკვეულ ნაწილში ეს მოთხოვნილება ნამდვილად შეინიშნებოდა, რაც საჭიროებდა პოლიტიკური ფორმულირების მიცემასა და საკანონმდებლო დონეზე განხილვას. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც მომზადდა 2018 წელს და პარლამენტამა ის ორი მოსმენით მიიღო, (მესამე მოსმენა კი უახლოეს პერიოდშია ჩანიშნული) ერთგვარად საზოგადოების გარკვეული ჯგუფების მოთხოვნილებასთან თანხვედრაშია, რაც გამოიხატება პოლიტიკურ დონეზე.

სახელისუფლებო პარტიის ლიდერის განცხადებაში იკვეთება ის ნიუანსები, რამაც გამოიწვია საიმიგრაციო პოლიტიკის გადახედვა და მისი შედარებით ურო გამკაცრება. სახელისუფლებო ძალის ერთ-ერთი მთავარი მიზანია საქართველოს რეგიონის კულტურულ და ეკონომიკურ ცენტრად პოზიციონირება, ამ პროცესში კი ყველაზე მნიშვნელოვანი ღირებულებაა საქართველოს მოქალაქე, რომლის ინტერესებიც უპირველესია, იქნება ეს შრომის ბაზარი, ბინადრობის საკითხი თუ სხვა მიმართულებები ასევე გაცხადებაში აქცენტი კეთდება უსაფრთხოებაზეც.

„დიდ ძალისხმევას მივმართავთ ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და საქართველო ყველაზე უსაფრთხო ქვეყნებს შორის მოიხსენიება. ყველაფერ ამას ჩვენი ბიუჯეტი, საქართველოს სტუმართმოყვარე მოქალაქეები აფინანსებენ და ამას გაფრთხილება, მოვლა-პატრონობა სჭირდება. უცხოელებს ვისაც ყველა ამ სიკეთით სარგებლობა უნდათ და გააჩნიათ საქართველოში ბინადრობის სურვილი, მოუწევთ ადეკვატური კონტრიბუცია გაიღონ.“ (კალაძე, 2019)

ამის გათვალისწინებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში ბოლო დროს, წინა წლებთან შედარებით უფრო მეტად შეინიშნება ანტი-მიგრანტული განწყობა და ამ განწყობის პარარელურად ხდებოდა საკანონმდებლო ცვლილების დაანონსება, შემდეგში კი მიღება, რაც იმის მანიშნებელია რომ სახელისუფლებო ძალა რეაგირებს საზოგადოებრივ განწყობაზე, რომელიც მათთვის ერთ-ერთი ინდიკატორია, მაგრამ არა ერთადერთი, რადგან კანონმდებლობის ცვლილებაზე გავლენა სახვა ფაქტორებმაც მოახდინა, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ევროკავშირთან არსებული ხელშეკრულება და ეკონომიკური ფაქტორებია. კანონის ინიციატორებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა ტენდენცია, რომელიც თანხვედრაში მოვიდა ექსპერტთა მოსაზრებებთან. პარლამენტარი გოჩა ენუქიძე განმარტავს.

„აღნიშნული კანონისადმი ინტერესი და დამოკიდებულება ვფიქრობ ნათლად ჩანს ინიცირებულ კანონპროექტში, სადაც ზუსტად იმ მუხლებზე მოხდა ცვლილებათა პედალირება, რომლებიც ვთვლით რომ არა რელევანტური იყო საქართველოს ეკონომიკურ ზრდასთან მიმართებით. კერძოდ საუბარი მაქვს დაწესებულ ფინანსურ ცენზსა და კონტროლის მექანიზმებზე.“ *[ინტერვიუ: გოჩა ენუქიძე, პარლამენტარი, კანონის ინიციატორი].*

კითხვაზე არის თუ არა კანონის ახალი რედაქცია საზოგადოებრივ განწყობასთან შესაბამისობაში დეპუტატი განმარტავს.

„ვთვლი რომ ჩვენი საზოგადოება ზუსტად გრძნობს იმ საჭიროებებს რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისათვის, ამ კანონპროექტის მიზანი კი არაფერია სხვა თუ არა სახელმწიფოში არსებული ეკონომიკურ ზრდასთან „უცხოელთა და მოქალაქეობის არ მქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში არსებული რეგულაციების მისადაგება..“

რაც შეეხება კანონის თანაავტორს ილია წულაიას, ყურადღებას ისიც ეკონომიკურ ფაქტორს უთმობს და მიიჩნევს, რომ ხშირ შემთხვევაში საქართველოს კანონი, რომელიც მიღებულ იქნა 2014 წელს მნიშვნელოვნად ჩამორჩება მოვლენებს, რადგან დღეს კიდევ უფრო მეტად გაზრდილია იმიგრაციის დონე, რის შედეგადაც მნიშვნელოვანია, რომ

მოხდეს საიმიგრაციო კონტროლი, ეს ხელს შეუწყობს საქართველოს რეპუტაციის შენარჩუნებასა და ქვეყნის ინტერესების დაცვას, რადგან მისი თქმით, ბევრი უცხოელი სხვადასხვა მანიპულაციის გზით ახერხებს საქართველოში ბინადრობის მოწმობის მიღებას და შემდეგ მისი მეშვეობით რამდენიმე ათეულ ადამიანს აქვს შესაძლებლობა შემოვიდეს ქვეყნის ტერიტორიაზე, რომლის შემდეგაც ტოვებს ან რჩება ქვეყანაში და ერთვება ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში. ამის გათვალისწინებით, დღის წესრიგში დადგა კანონის გადახედვის საკითხი, რომელიც შედარებით უფრო დახვეწილი და გამკაცრებულია. აღსანიშნავია ისიც, რომ ექსპერტების მოსაზრება ნაწილობრივ თანხმობაშია კანონის ინიციატორების არგუმენტებთან.

საერთო ჯამში, კანონის ცვლილება შეგვიძია დავაკავშიროთ ევროკავშირთან ასოცირებასთან და ქვეყნის საერთაშორისო რეპუტაციასთან, რომელიც შეიძლება დაზარალდეს, თუ საქართველო არ გაამკაცრებს საიმიგრაციო კანონმდებლობას, ასევე შეუძლებელია გამოვრიცხოთ საზოგადოებრივი განწყობაც, რომელიც ექსპერტთა შეფასებით ბოლო დროს უფრო მეტად ხასიათდება ანტი-მიგრანტული სენტიმენტებით, აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ რომ საზოგადოებრივმა განწყობამაც შეეასრულა თავისი როლი კანონმდებლობის ცვლილებაში, რამაც საერთო ჯამში ჩამოაყალიბა სახელმწიფო პოლიტიკა საიმიგრაციო კუთხით, რაც უშუალოდ განხილულია მეორე თავის ბოლო ქვეთავში.

2.4 საიმიგრაციო კანონის ინპლემენტაცია და სახელმწიფო პოლიტიკა უცხოელების მიმართ

საქართველოში საიმიგრაციო კანონმდებლობის გამკაცრებამ რამდენამდე გაართულა ქვეყანაში შემოსვლის მსურველთა მდგომარეობა. გარკვეული ქვეყნის მოქალაქეებისთვის პრობლემური გახდა საქართველოში კანონიერად ცხოვრების უფლების მოპოვება. უნდა აღინიშნოს, რომ მსგავს პოლიტიკურ მიდგომას, რამოდენიმე ფაქტორი აქვს, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია საზოგადოებრივი განწყობა, რომელიც ჩვენი კვლევის ფარგლებში დამოუკიდებელ ცვლადად გვქონდა

წარმოდგენილი. ქვეყანაში არსებული ანტი-მიგრანტული განწყობა ძირითადად შეეხება ისლამური და აღმოსავლური წარმოშობის პირებს, რომლებიც საქართველოში ცხოვრების მოპოვებას ცდილობენ. მსგავს განწყობას ქმნის საფრთხის განცდა, რომელიც უკავშირდება იმიგრანტების რაოდენობას, ქართული საზოგადოების ნაწილი კი იმიგრანტებს ქვეყნის იდენტობისთვის შეუსაბამოდ მიიჩნევს და მათ საწინააღმდეგოდ ცდილობს უსაფრთხოების მოტივით იხელმძღვანელოს, რომელიც ემყარება ეკონომიკურ და იდენტობის უსაფრთხოებას. საყურადრებოა, რომ ყველაზე ხშირად, ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარი უკავშირდება სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების საკითხს. 2014 წლის კანონმდებლობა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ სახელმწიფო კანონის მიხედვით, ბინადრობის ნებართვაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, კონტრაზვერვის დეპარტამენტის დასკვნა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მსგავსი დასკვნა არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, შესაბამისად ბინადრობის გაცემასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებისას უფლებამოსილ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შეუძლია არ გაიზიაროს ამგვარი დასკვნა. სახელმწიფო განვითარების სააგენტო ხშირ შემთხვევაში არ იყენებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ უფლებამოსილებას და უაპელაციოდ იზიარებს უსაფრთხოების სამსახურის დასკვნას, რაც მიუთითებს საიმიგრაციო პოლიტიკის ხარვეზებზე და კანონმდებლობის გართულებაზე. ამის დასადასტურებლად შეგვიძლია გავაანალიზოთ რამოდენიმე საქმე, რომელიც მოქცევს საშუალებას შევისწავლოთ საიმიგრაციო კანონმდებლობის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინპლემენტაცია. ნაშრომში ეს საკითხი შესწავლილია ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის ანგარიშის საფუძველზე, რომელიც მოიცავს 2016-2018 წლებს. ანგარიშში განხილულია სასამართლო დავები, რომელიც შეეხებოდა სახელმწიფო საიმიგრაციო პოლიტიკას, რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებლობა გვაქვს გამოვიტანოთ დასკვნა და ვისაუბროთ საიმიგრაციო პოლიტიკის გამკაცრებაზე. (ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, 2019).

საიმიგრაციო პოლიტიკის გამკაცრების მაგალითად შეგვიძლია მივიჩნიოთ ნიგერიის მოქალაქის საქმე, რომლის მეუღლე და შვილებიც საქართველოს მოქალაქეები არიან. მან 2018 წლის 24 აპრილს, ბინადრობის ნებართვაზე გააკეთა განაცხადი ოჯახის გაერთიანების მიზნით. აღნიშნული საკითხი შეისწავლა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ, რომელმაც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დასკვნის საფუძველზე უარი უთხრა პირს ბინადრობის მოწმობის მიღებაზე. აღნიშნული გადაწყვეტილება ნიგერიის მოქალაქემ გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლოში, რომელმაც ძალაში დატოვა სახელმწიფო სერვისების განვითარების სამსახურის გადაწყვეტილება და ის კანონიერად მიიჩნია. უნდა აღინიშნოს, რომ ბინადრობის ნებართვის მამიებელ პირს შესაძლებლობა არ ჰქონდა გაცნობოდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ბრალდებასა და მტკიცებულებას, რადგან მას სახელმწიფო საიდუმლოს სტატუსი გააჩნია. (ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, 2019).

მსგავსი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა ნიგერიის კიდევ ერთი მოქალაქე, აღნიშნული მოქალაქის შესახებაც არსებობდა სახელმწიფო უსაფრთხოების დასკვნა, რომ ის სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი უსაფრთხოებისთვის საშიშად იყო მიჩნეული, რის საფუძველზეც უარი ეთქვა მუდმივი ბინადრობის ნებართვის მიღებაზე. აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლომ ბათილად ცნო და სახელმწიფო სერვისების სააგენტოს ახალი აქტის გაცემა დაავალა. გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააგენტოს მიერ სააპელაციო სასამართლოში, რომელმაც ძალაში დატოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება. გადაწყვეტილება მიღებული იქნა ოჯახის ერთიანობის პრინციპზე დაყრდნობით, რომლის მიხედვითაც გადაწყვეტილების ნებისმიერ ეტაპზე დაცული უნდა იყოს ოჯახის ერთიანობის პრინციპი და ოჯახის განცალკევება უნდა ხდებოდეს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, რაც საქმის მსვლელობის დროს არ გამოიკვეთა, ეს მაშინ როცა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური იძლეოდა რეკომენდაციას არ დაეკმაყოფილებინათ პირის მოთხოვნა. (ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, 2019, გვ. 30-31). ამ მაგალითებიდან ჩანს, რომ სახელმწიფო ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის მთავარი მოტივი სახელმწიფო უსაფრთხოების საკითხს უკავშირდება, რომელიც რიგ

შემთხვევაში დაკმაყოფილებულია სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ. აღნიშნული გადაწყვეტილების მოტივი ჩემი აზრით უკავშირდება ქვეყანაში არსებულ ანტი-მიგრანტულ განწყობას ეს პოზიცია კვლევის დასაწყისში ჰიპოთეზიდან გამომდინარე დავუშვი, მაგრამ კვლევის მიწურულს გამოიკვეთა ტენდენცია, რომ ამ ორ საკითხს შორის საკმაოდ მყიფე კავშირია, რადგან სახელმწიფოს მსგავს პოლიტიკას სხვა არგუმენტაცია და მოტივებიც გააჩნია. საიმიგრაციო კანონის გამკაცრებამ ასევე მნიშვნელოვნად გაართულა მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის მიღებაც.

2017 წლის 20 სექტემბერს, ირანის მოქალაქე, რომელიც უძრავ ქონებას ფლობდა საქართველოში, ითხოვდა მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის მიღებას. ამ შემთხვევაში, როგორც წინა შემთხვევებში სერვისების განვითარების სააგენტომ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრაზვერვის დეპარტამენტის დასკვნის საფუძველზე უარი უთხრა პირს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. ბინადრობის მაძიებელი პირი მიჩნეული იყო სახელმწიფო უსაფრთხოებისა და სახელმწიფო წესრიგისთვის საშიშად. აღნიშნული გადაწყვეტილება ირანის მოქალაქემ გაასაჩივრა საქალაქო სასამართლოში, რომელმაც კანონიერად ცნო გადაწყვეტილება. იგივე დასკვნა გამოიტანა სააპელაციო სასამართლომაც. უნდა ითქვას, რომ ბრალდებისა და სახელმწიფოს მიერ პირის საფრთხედ გამოცხადების დასაბუთება მიუწვდომელი იყო ირანის მოქალაქისთვის. (ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, 2019, გვ. 32).

მსგავსი სახის პრობლემები გამოიკვეთა შრომითი ბინადრობის ნებართვასთან დაკავშირებითაც. ნიგერიის მოქალაქე, რომელიც 2012 წლიდან ცხოვრობს საქართველოში, კანონის ცვლილებების შემდეგ აღმოჩნდა გაურკველ ვითარებაში. მან მოთხოვნა გააკეთა 2017 წელს და ითხოვდა შრომითი ბინადრობის ნებართვის მიღებას, რაზეც უარი ეთქვა, აქაც როგორც რიგ საქმეებში უარის მოტივი უკავშირდებოდა სახელმწიფო უსაფრთხოების საკითხს. ნიგერიის მოქალაქემ სარჩელით მიმართა საქალაქო სასამართლოს, საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი და გადაწყვეტილება კანონიერად ცნო. ასევე კანონიერადაც ცნო გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლომაც და გაიზიარე უსაფრთხოების სამსახურის რეკომენდაცია. (ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, 2019, გვ. 32).

მსგავსი დავების უკეთ განსახილველად, თვალსაჩინოების მიზნით კარგი იქნება სტატისტიკურ მონაცემებზე დაკვირვებაც, რომლის მიხედვითაც ყველაზე ხშირად ბინადრობის ნებართვაზე უარს ეუბნებიან აღმოსავლური და ისლამური ქვეყნების წარმომადგენლებს, რომელშიც ძირითად სჭარბობს ნიგერია (26%) და ეგვიპტე (37 %). ძირითადი მოტივი ბინადრობის მოწმობაზე უარის თქმისა, არის სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების არგუმენტი. ამასთან ერთად 2012 წლიდან 2017 წლამდე პერიოდში ბინადრობის ნებართვაზე 12, 168 პირს ეთქვა უარი იმ არგუმენტით, რომ მათი ყოფნა ქვეყანაში გაიწვევდა სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების პრობლემას. ამ მონაცემებიდან სრული რაოდენობის 82,6 % აფრიკისა და აზიის მოქალაქე იყო (ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, 2019, გვ. 39-43).

აღსანიშნავია თავშესაფრის მაძიებელთა მიმართ სახელმწიფოს პოლიტიკის განხორციელებაც. სახელმწიფო პოლიტიკას თავშესაფრის მაძიებელთა მიმართ ახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, მიგრაციის დეპარტამენტი. ლტოლვილისა და თავშესაფრის მაძიებლებისთვის ყველაზე მეტი უარი განპირობებული ისევ და ისევ უსაფრთხოების მოტივით, რომლის მიხედვითაც მათი ქვეყანაში ყოფნა საფრთხეს შეუქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას. ამის დასადასტურებლად განვიხილოთ ეგვიპტისა და ერაყის მოქალაქეების საქმე. ეგვიპტის მოქალაქის შემთხვევაში საქმე შეეხებოდა ისლამიდან კონვერტირებულ ქრისტიანს, რომელზეც საკუთარ ქვეყანაში აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე, მეორე შემთხვევაში კი ერაყის მოქალაქის ოჯახი კონვერტირდა ქრისტიანობაზე და იდევნებოდა საკუთარ ქვეყანაში. ორივე საქმეზე გამოტანილი იყო უარი, რომლის საფუძველსაც ქმნიდა სახელმწიფო უსაფრთხოება. საქმის მსვლელობისას გამოჩნდა, რომ ლტოლვილის სტატუსის მაძიებლებს არ განემარტათ უარის მიზეზები და არ წარედგინათ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დასკვნა. მსგავსი საქმეები მოხვდა ევროკავშირის ანგარიშში. ევროკავშირის ინსტიტუტი, ევროპული კომისია შემფოთებული იყო საქართველოს ბოლოდროინდელი საიმიგრაციო პოლიტიკით, რომელიც ლტოლვილის სტატუსის მაძიებლების უმეტესობას უარს ეუბნებოდა სახელმწიფო უსაფრთხოების მოტივით. 2015-2016 წლების მონაცემებით სახელმწიფო

უსაფრთხოების მოტივით უარის თქმის მაჩვენებელი მერყეობდა 4-5 %-ის ფარგლებში, მაშინ როცა 2017 წლის პირველ ნახევარში აღნიშნულმა მაჩვენებელმა 26% შეადგინა.(European commission report, 2017, p. 10).

აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში საიმიგრაციო კანონი ეტაპობრივად მკაცრდებოდა, ამაზე მეტყველებს, როგორც კანონის პერიოდული ცვლილება ასევე მისი ინპლემენტაცია საზოგადოებრივ ცხოვრებაზე.

დასკვნა

საქართველო ადრეული პერიოდიდან მსოფლიოს ორგანული ნაწილი იყო და მასთან ერთად თანაარსებობდა. ქვეყნისთვის უცხო არ იყო სხვადასხვა კულტურის, ისტორიისა და ტრადიციების გაზიარება, ამასთან ერთად საკუთარი ინდივიდუალური მახისიათებლების შენარჩუნება და განვითარება. გამომდინარე აქედან საჭიროდ ჩავთვალე შემესწავლა საქართველოში დღეს არსებული მდომარეობა და დამოკიდებულება ტერმინ „უცხოს“ მიმართ, რომელიც გლობალიზაციისა და გაზრდილი მიგრაციის პროცესში, ნაწილობრივ მოძველებულ ტერმინს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე დავინტერესდი ამ საკითხით და განვიხილე საქართველოს მაგალითი თუ რა მდგომარეობაა საქართველოში, მსოფლიოში გაზრდილი მიგრაციის პირობებში და იწვევს თუ არა იმიგრაცია ადგილობრივ მოსახლეობაში უკმაყოფილებასა და როგორია კორელაცია მათ განწყობასა და სახელმწიფო პოლიტიკას შორის.

მოცემული საკითხის შესწავლის მიზნით ნაშრომის დასაწყისში ჩამოვყალიბე ჰიპოთეზა : რაც უფრო ინტენსიურია საზოგადოებაში არსებული ანტი-მიგრანტული განწყობა (რიტორიკა), მით უფრო მკაცრდება ქვეყნის მიგრაციული პოლიტიკა.

აღნიშნული ჰიპოთეზის განხილვისას, საწყისს ეტაპზე შევისწავლე ჰიპოთეზის ცვლადები, რის საფუძველზეც გამოვიტანე დასკვნა, რომლის მიხედვითაც საზოგადოებაში პერიოდულად შეინიშნება ანტი-მიგრანტული განწყობა, რაზეც გავლენას ახდენ : მედია, პოლიტიკური პარტიები და დაინტერესებული ჯგუფები, რომლებიც ყურადღებას ამახვილებენ უსაფრთხოების საკითხზე და ცდილობენ საიმიგრაციო საკითხები გადაიტანონ უსაფრთხოების ჭრილში. უნდა აღინიშნოს ისიც რომ საქართველოში ძირითადად ანტი-მიგრანტული განწყობა აქცენტირდება აფრიკული, აზიური და ისლამური სახელმწიფო მოქალაქეების მიმართ. მსგავსი ტენდენცია ახასიათებს ანტი-მიგრანტული ჯგუფებს, რომლებიც ყველაზე მეტ საფრთხეს აღნიშნული ქვეყნების მოქალაქეებში ხედავენ. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ხდება ტერმინ იმიგრანტის საფრთხეთ აღქმა, რომელიც ემუქრება სახელმწიფო და საზოგადოებრივ წესრიგს. ეს განწყობა კი სავარაუდოდ ასახულია სახელმწიფო პოლიტიკაშიც.

სახელმწიფო პოლიტიკა გამოხატულია საიმიგრაციო კანონმდებლობით. საიმიგრაციო კანონმდებლობა 2005 წლის შემდეგ ცალსახად გამკაცრებულია, რასაც ადასტურებს 2014 წლის საიმიგრაციო კანონი და მისი ინპლემენტაცია საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ასევე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კანონის ახალმა რედაქციამ მნიშვნელოვნად გაამკაცრა საიმიგრაციო პოლიტიკა.

აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი ჰიპოთეზა ნაწილობრივ გამართლდა, რადგან კვლევის პროცესში გამოიკვეთა სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს სახელმწიფო პოლიტიკის ცვლილებაზე. ასეთ ფაქტორებად ნაშრომში გამოიკვეთა ევროკავშირთან ვიზალიბერალიზაცია, ქვეყნის საერთაშორისო იმიჯი და ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც საერთო ჯამში გავლენას ახდენს საიმიგრაციო პოლიტიკის გადახედვაზე, მაგრამ ეს არ გამორიცხავს იმას, რომ საზოგადოებრივ განწყობასაც აქვს გავლენა პოლიტიკის დღის წესრიგის ცვლილებაზე.

ექსპერტებთან ინტერვიუბმა და საკვლევი საკითხის შესწავლამ მომცა საშუალება, გამომეტანა დასკვნა, საქართველოში ისევე როგორც ბევრ ევროპულ ქვეყანაში, შეინიშნება ანტი-მიგრანტული განწყობა და სენტიმენტები, მაგრამ ეს ყოველივე გამოხატულია საზოგადოების მცირე ჯგუფში, რომელიც ცდილობს მხარდამჭერების მობილიზებას და პერიოდულად ამას ახერხებს კიდევ, მაგრამ საერთო ფონი განსხვავებულია და საქართველო და ქართველები მეტწილად შემწყნარებელნი და ტოლერანტულნი არიან უცხო მამართ.

როგორც აღვნიშნეთ პერიოდულად ანტი-მიგრანტული განწყობა საზოგადოებაში იზრდება, მაგრამ არა იმდენად, რომ მხოლოდ მასზე დაყრდნობით შეიცვალოს ქვეყნის საიმიგრაციო პოლიტიკა.

კვლევის ლიმიტი: მოცემული საკითხი საჭიროებს უფრო ღრმა კვლევას და ანალიზს, რადგან დროის და რესურსების სიმცირედან გამომდინარე ვერ მოხერხდა საკვლევი საკითხის სიღრმისეული შესწავლა.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Balzacq, T. (2011), *Securitization Theory: How Security Problems Emerge and Dissolve*, London: 1st edn, Routledge;
- Buzan, Barry, Waever, Ole, & De Wilde. (1998), *Security: A New Framework for Analysis*, Boulder. Lynne Rienner Publishers;
- D Williams Paul. (2008), *security Studies: An Introduction*
- Furuseth, R. (2003)., *Creating Security Through Immigration Control: An Analysis of European Immigration Discourse and the Development Towards a Common EU Asylum and Immigration Policy*. Norwegian Institute of International Affairs;
- Jørgensen, M., & Phillips, L. (1999), *Diskursanalyse som*. Roskilde: Roskilde Universitetsforlag;
- Palombo, G. (2017), *The Desecuritisation of Immigration in Scotland: An Analysis of Discourse and Practice*. University of Glasgow.
- Guchteneire, P., Pécoud, A., & Cholewinsk, R. (2009), *Migration and Human Rights, The United Nations Convention on Migrant Workers' Rights*. Cambridge University Press;
- Rieker, P. (2001). The Europeanisation of Norway's Security Identity. NUPI Working Paper 619.
- Sabanadze, N. (2010), *Globalization and Nationalism: The Cases of Georgia and the Basque Country* Budapest;
- ბალათურია, ჯ. (2019 წლის 29 იანვარი). „აზიელი და აფრიკელი მიგრანტები რომ

ჩამოასახლონ, აქ სისხლისღვრა ატყდება“ (ნოზაძე, მ. ინტერვიუერი),
მოძიებულია 3 მარტი, 2019,
http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=4&id_artc=64512

ბოლქვაძე, გ. (4 თებერვალი, 2019), მითების დედექტორი. მოძიებულია 3 მაისი, 2019
<https://www.mythdetector.ge/ka/myth/dezinpormatsia-titkos-iranidan-sakartveloshi-milionobit-migranti-moemarteba>

გელაშვილი, მ. (30 მაისი, 2017), მითების დეტექტორი, მოძიებულია 2 მაისი, 2019,
<http://www.mythdetector.ge/ka/myth/video-romelsats-rasistuli-pb-gverdebi-tbilisis-metroze-akveqneben-manipulatsiuria>

გოგოლაძე, თ. (2018), *სიძულვილის ენა წინასაარჩევნო დისკურსში* (მედიის
განვითარების ფონდი (MDF), მოძიებულია 20 მაისი, 2019,
http://mdfgeorgia.ge/uploads/library/101/file/sidzulvilis_ena_2018.pdf

დარჩიაშვილი, დ. (2000). „პოლიტიკოსები, ჯარისკაცები, მოქალაქენი“ თბილისის
უნივერსიტეტის გამომცემლობა.

კოდუა, ე., და სხვები. (2004), *სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა*
ლექსიკონი–ცნობარი. თბილისი: ლოგოს პრესი.

ზურაბიშვილი, თ. (2006), *თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში*,
თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, (1 სექტემბერი. 2014),
მოძიებულია 15 მაისი, 2019, https://idfi.ge/ge/statistical-information-on-foreign-citizens-being-granted-residence-permit?fbclid=IwAR1YGuWjUwJMH0842BzMVGkB_IoPkBxHZ2po7vZFvI1rZt0vHHaL8uJzNzI

სესიაშვილი, ი. (26 აგვისტო, 2014), მოძიებულია 15 მაისი, 2019

<http://www.tabula.ge/ge/verbatim/87077-sesiashvili-arafrismqone-rom-shemodis-an-unda-moiparos-an-samushao-ipovos>

იურიანი, ა. (14 ივნისი, 2016), მოძიებულია 10 აპრილი, 2019,

<http://regional-dialogue.com/security-2/>

კინწურაშვილი, თ. (2015). მოძიებულია 18 მაისი, 2019,

<http://www.mdfgeorgia.ge/uploads/library/19/file/Hate%20Speech-2015-GEO-web.pdf>

კინწურაშვილი, თ. (2017). მედია მონიტორინგი: სიძულვილის ენა, მოძიებულია 1

მაისი, 2019, http://mdfgeorgia.ge/uploads/library/91/file/Hate_Speech-FINAL-GEO.pdf

კობახიძე, ი. (30 აგვისტო, 2018), მოძიებულია 21 მაისი, 2019,

<https://www.interpressnews.ge/ka/article/547387-irakli-kobaxize-mtacmindaze-archevnebis-meore-turi-gaimarteba-lado-kaxizesa-da-shalva-shavgulizes-shoris-romelic-carmoadgens-nacionalur-mozraobas/>

კუკავა, კ. (3 ივლისი, 2018), ობიექტივი, მოძიებულია 3 მაისი, 2019

<https://www.facebook.com/freegeorgia/videos/2238648739495862>

კუკავა, კ. (16 ოქტომბერი, 2018), პირველი არხი, მოძიებულია 23 მარტი, 2019,

<https://1tv.ge/news/kakha-kukava-tu-gartveli-khalkhis-mkhardachera-megneba-binadrobis-mowmobas-verc-erti-migranti-ver-miighebs/>

ლიბერალი, (6 თებერვალი, 2018), მოძიებულია 22 მაისი, 2019,

<http://liberali.ge/news/view/34135/qartuli-marshi-gegnavs-ukanono-emigrantebis-gasakontrolblad-sakhalkho-patruli-shegmnas>

„მიგრანტთა პაქტის“ განხილვა მოქალაქეებთან, (13 თებერვალი 2019), მოძიებულია 23

მაის, 2019, <https://www.youtube.com/watch?v=baglxbjK1hA>

მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია-მიგრაციის პროფილი, (2017), მოძიებულია

http://migration.commission.ge/files/migraciis_profili_2017_a4_new.pdf?fbclid=IwAR1DGqBLSyBSjtFFaXS0gOtFwdOnnz38NdlUaXrl1IO_Wa_zqWn8kH94EBc

მიტების დედექტორი, (25 მაისი, 2016), მოძიებულია 2 მაისი, 2019

<https://www.mythdetector.ge/ka/myth/paktebis-damakhinjeba-da-manipulatsia-asaval-dasavalis-statiashi>

რაფავა, ნ., & გელავა, ს. (5 დეკემბერი, 2018), მიტების დედექტორი. მოძიებულია 2

მაისი, 2019 <http://www.mythdetector.ge/ka/myth/rusi-ekspertis-gantskhadeba-titkos-kartvelebs-terorizmis-da-migratsiis-saprtkhe-acukhebt>

ობიექტივი, (19 ოქტომბერი, 2017), მოძიებულია 20 აპრილი, 2019

<https://www.myvideo.ge/v/3415275>

ობიექტივი, (26 მარტი, 2018), მოძიებულია 4 მაისი, 2019

<https://www.myvideo.ge/v/3556809>

ობიექტივი, (21 მარტი, 2018), მოძიებულია 2019 წლის 5 მაისი, myvideo.ge:

<https://www.myvideo.ge/v/3551948>

პირველი რადიო, (6 ნოემბერი, 2019), მოძიებულია 21 მაისი, 2019

<https://pirveliradio.ge/?newsid=115906>

პიჩიკიანი, ლ. (19 დეკემბერი, 2018), მიტების დედექტორი. მოძიებულია 4 მაისი,

2019, <http://www.mythdetector.ge/ka/myth/erovnuli-dzalis-manipulatsia-evropashi-muslimebis-raodenobis-shesakheb>

სააკაშვილი, მ. (სექტემბერი, 2018), მოძიებულია 21 მაისი, 2019

<https://www.facebook.com/SaakashviliMikheil/videos/217228869150069/>

საქართველოს კანონი უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი

მდგომარეობის შესახებ. (27 დეკემბერი, 2005), მოძიებულია 14 მაისი, 2019, https://matsne.gov.ge/ka/document/view/25384?publication=32&fbclid=IwAR03HMbCSfyI_g_awPI3X6rrhq7UB0cxelghU3SwSbzLeLf9TAUTmPki4vAY

საქართველოს კანონი უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი

მდგომარეობის შესახებ. (1 სექტემბერი, 2014), მოძიებულია 16 მაისი, 2019, <https://matsne.gov.ge/ka/document/download/2278806/10/ge/pdf>

საქართველოს კანონი, სამოქალაქო აქტების შესახებ, (28 დეკემბერი, 2011), მოძიებულია

5 მაისი, 2019 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1541247?publication=23>

საქართველოს ორგანული კანონი: საქართველოს მოქალაქეობის შესახებ. (1993 წლის 25

მარტი). 15 მაისი, 2019 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/32596?publication=20#!>

საქართველოს პარლამენტი, (მაისი, 2019), მოძიებულია ივლისი, 2019,

<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/222680?>

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, (2018 წლის აპრილი), მოძიებულია

21 მაისი, 2019, <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/322/migratsia>

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, მოძიებულია 22 ივლისი, 2019,

https://www.mof.ge/mshp_ekonomikuri_zrda

სტეფანი, ა. (2018), *ულტრამემარჯვენე პოპულისტური მოძრაობები: ახალი გამოწვევა.*

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი.

ტაბულა, (2019 წლის 30 იანვარი), მოძიებულია 21 მაისი, 2019

<http://www.tabula.ge/ge/story/143554-ndi-mosaxleobis-56-tvlis-rom-qvekanashi-chamomsvleli-imigrantebis-raodenoba-unda>

ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი. (2019 წლის აპრილი).

მოძიებულია 2 ივნისი, 2019,

<https://osgf.ge/wp-content/uploads/2019/04/Georgian.pdf?fbclid=IwAR0dBJASyEQ5JGJCujsqPJ-0KkrGKC9wmLHw6A0m3Ms8uVBx3LcymkL1uEA>

ქენქაძე, ნ. (2018 წლის 30 აგვისტო). პირველი არხი. 21 მაისი, 2019,

<https://1tv.ge/news/lllkakha-kaladze-uckho-gveynis-mogalageebistvis-binadrobis-uflebis-minichebaze-kanonmdeblobashi-arsebuli-kharvezis-gamosworebas-itkhovs/>

ღარიბაშვილი, ი. (2014 წლის 16 იანვარი). ტაბულა. მოძიებულია 17 მაისი, 2019,

<http://www.tabula.ge/ge/story/79111-gharibashvili-ashendeba-aralegal-migrantta-droebiti-gantavsebis-centri>

ცესკო, (2018), შედეგები 2018. მოძიებულია 3 აპრილი, 2019,

<https://results20181028.cec.gov.ge/>

ცინცაძე, გ. (1998), მეცნიერული კვლევის სისტემური მეთოდი, თბილისი: მეცნიერებათა ცენტრი.

წულაძე, ლ. (2008). რაოდენობრივი კვლევის მეთოდები, თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.

ჯღარკავა, ი. (2017). *ანტი-მიგრანტული რიტორიკა საქართველოში: ემუქრება თუ არა საფრთხე საქართველოს*. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი.

ექსპერტული ინტერვიუ: ექსპერტი შრომითი მიგრაციის დარგში, ელზა ჯგერენაია, 17 ივნისი, 2019;

ექსპერტული ინტერვიუ: მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ხელმძღვანელი, მარკ ჰულსტი, 18 ივნისი, 2019;

ექსპერტული ინტერვიუ: ექსპერტი, ასოცირებული პროფესორი ია შენგელია, 22 ივნისი 2019;

ექსპერტული ინტერვიუ: პარლამენტის წევრი, კანონის ინიციატორი, გოჩა ენუქიძე, 14 ივნისი, 2019;

ექსპერტული ინტერვიუ: პარლამენტის წევრი, კანონის ინიციატორი, ილია წულაია 16 ივნისი, 2019;

დანართი #1

სიღმისეული, ინტერვიუ პოლიტიკოსებთან, გეოგრაფებთან და საიმიგრაციო საკითხებზე მომუშავე ექსპერტებთან

სექცია I: გაცნობითი ხასიათის შეკითხვები

ასაკი:

სქესი:

განათლება (პროფესია):

საქმიანობა (მოღვაწეობის სფერო):

სექცია II: საქართველოში არსებული ანტი-მიგრანტული განწყობა

- 1) როგორ შეეფასებდით საქართველოში იმიგრაციის დონეს?
- 2) თქვენი შეფასებით როგორია ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულება იმიგრანტთა მიმართ?
- 3) რა იწვევს მსგავს დამოკიდებულებას?
- 4) თქვენი დაკვირვებით იცვლებოდა თუ არა ადგილობრივების დამოკიდებულება დროის მიხედვით? თუ იცვლებოდა რა უწყობდა ხელს მას?
- 5) რომელი ჯგუფები ქმნიან საქართველოში ანტი-მიგრანტულ განწყობას?
- 6) თქვენი დაკვირვებით როგორ აშუქებს მედია იმიგრანტთა საკითხს?
- 7) რითი ახსნით პოლიტიკური პარტიების მიერ გაჟღერებულ რიტორიკას იმიგრანტთა მიმართ?
- 8) როგორ ფიქრობთ რა გავლენა აქვს დღეს საქართველოში ანტი-მიგრანტულ ჯგუფებს?
- 9) ფიქრობთ თუ არა რომ აღნიშნულმა ჯგუფებმა მოხერხეს საზოგადოებრივი აზრის კონცენტრირება იმიგრაციის საკითხის მიმართ?
- 10) როგორია თქვენეული შეფასება საზოგადოებრივი განწყობის მიგრაციული პოლიტიკის მიმართ?

სექცია II: საქართველოს საიმიგრაციო პოლიტიკა.

- 1) როგორ შეეფასდებდით საქართველოს საიმიგრაციო პოლიტიკას?
- 2) თქვენი აზრით რა იყო 2005 წლის კანონმდებლობის ლიბერალური ხასიათის მოტივი?
- 3) რა დადებითი და უარყოფითი შედეგი ქონდა 2005 წელს მიღებულ კანონს?
- 4) როგორ ფიქრობთ რა გახდა 2014 წელს კანონში ცვლილებების მიზეზი?
- 5) როგორ შეეფასებდით 2014 წლის კანონმდებლობას?
- 6) რა ხარვეზები გამოიკვეთა აღნიშნულ კანონში?
- 7) როგორ შეეფასებდით კანონის 2019 წლის რედაქციას?
- 8) ფიქრობთ თუ არა რომ კანონში შესული ცვლილებების შედეგად საიმიგრაციო პოლიტიკა მკაცრდებოდა?
- 9) რა მიზეზების გათვალისწინებით მოხდა კანონის გამკაცრება?
- 10) რამ იქონია გავლენა ხელისუფლებაზე გადააეხედა საიმიგრაციო პოლიტიკა?

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Social and Political Sciences

Akaki Sadunishvili

Anti-migrant sentiment and its impact on the country's migration policy
(The example of Georgia in 2012-2019)

Master's Program in Political Sciences

The Thesis is done to obtain Master's Academic Degree in Political Sciences

Supervisor: Doctor of Political Sciences, Giorgi Melikidze

Tbilisi

2019